თამაზ გოდერძიშვილი

თარგმანები

გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2020

ჟორდი გალსერანი

ბრონჰოლმის მეთოდი

მოქმედი პირნი:

ფერნანდო

მერსედესი

ენრიკე

კარლოსი

მისაღები ოთახი ოფისში. გემოვნებით შერჩეული ლამაზი ავეჯი. პრიალა პარკეტი. ხით მოპირკეთებული კედლები. მაგიდაზე წყლით სავსე ბოთლი და ოთხი ჭიქა დევს. გობელენი ხუან მიროს ნაწარმოებების მოტივებით არის დამშვენებული.

სცენის სიღრმეში ორსაგდულიანი დიდი კარია. გვერდით კიდევ ერთი კარია, ოღონდ, უფრო პატარა. ჭერქვეშ გაჭრილი დიდი ფანჯრიდან გვიანი საღამოს სინათლე იღვრება. ცის ნაგლეჯიც მოჩანს. ცხადია, ოფისი მრავალსართულიანი შენობის ზედა სართულზეა. მაგიდასთან სკამზე ზის ოცდათვრამეტიოდე წლის სანდომიანი მამაკაცი – ფერნანდო პორტა. ახალთახალი, მოდური, ლამაზი კოსტუმი აცვია. მაგიდაზე მისი დიპლომატი დევს.

გადის რამდენიმე წუთი. ფერნანდო საათს დახედავს, დიპლომატიდან გაზეთს ამოიღებს და ფურცლავს.

ისმის მობილური ტელეფონის ზარის ხმა. ფერნანდო ჯიბიდან ტელეფონს ამოიღებს და ღილაკს თითს აჭერს.

ფერნანდო – *(მობილურში)* ჰო... გაუმარჯოს... უკვე აქა ვარ. ველოდები, ძმაო, ველოდები... აბა, რა...

დიდი კარიდან შემოდის ენრიკე ფონტი. ფერნანდო ვერ ამჩნევს მას და საუბარს განაგრძობს.

რაო? ვახშამი? ამ საღამოს? უჩემოდ რად მოელაპარაკე, ბიჭო? არა! ვერ წამოვალ. როგორმე თვითონ მიხედე. ეგ მაინც იცი... ეგაც არ იყოს, მუქთად როდემდე უნდა ვულოკო ტრაკი მაგ კატალონიელებს?! აქ ისეთი მაგარი ადგილი მეჩითება, შეგიძლია, ეგენი ეგრევე დაიკიდო, ჩემი სახელით, რა თქმა უნდა! გვეყო, რაც კუდი ვუქიცინეთ, მორჩა! ყელში ამოვიდა!! *(ენრიკე შენიშნა)* კარგი, კარგი, ნახვამდის.

მობილური შეინახა. ენრიკე ორმოცსგადაცილებული ჩასუქებული კაცია. მასაც კოსტიუმი აცვია, მაგრამ არა ისეთი მოდური, როგორც ფერნანდოს. მასაც დიპლომატი უჭირავს, მაგრამ არა ისეთი ახალი, როგორიც მაგიდაზე დევს.

ენრიკე – გამარჯობა.

ფერნანდო – გაგიმარჯოს.

ენრიკე – როგორც მითხრეს, გასაუბრება აქ უნდა...

ფერნანდო – დიახ, მეც ასე მითხრეს.

ენრიკე – თქვენ ამ ოფისის წარმომადგენელი ბრძანდებით?

ფერნანდო – არა, რას ბრძანებთ! ადგილის მაძიებელი ვარ.

ენრიკე – მეც. მეც კანდიდატი გახლავართ.
ფერნანდო – სასიამოვნოა.
ენრიკე – ჩემთვისაც.
ერთმანეთს ხელს ჩამოართმევენ. ენრიკე დიპლომატს მაგიდაზე დადებს. წამით სიჩუმე ჩამოვარდება.
ამათ რაიმე ხომ არ გითხრეს ან ხომ არ დაგაკვალიანეს?
ფერნანდო – არა, არაფერი უთქვამთ.
ენრიკე – რაღაც უცნაურად იქცევიან; ხომ მართალია?
ფერნანდო – დიახ.
ენრიკე – არატრადიციული მეთოდები ჰქონიათ.
ფერნანდო – როგორც ეტყობა!
ენრიკე – ეს რომ შემომთავაზეს... არ ვიცი, ყველაფერი უჩვეულოა და... რამდენი კანდიდატია? ორი?
ფერნანდო – ვინ იცის? ჭიქა ოთხია.
ენრიკე – ეგებ, ორი – ექსპერტებისთვისაა?
ფერნანდო – შეიძლება, ეგრეც იყოს.
ენრიკე – ეს ჯგუფური გასაუბრება, ცოტა ისეთია... რბილად გეტყვით, ორიგინალური. განსაკუთრებით, ასეთი თანამდებობის მოსაპოვებლად. წესით, ბევრად უფრო კონფიდენციალური უნდა იყოს.
ფერნანდო – მართალი გითხრათ, ჩემთვის ეს ყველაფერი...
ენრიკე – ჩემთვისაც... მაგრამ მაინც... აი, მე და თქვენ, მაგალითად, ერთმანეთს არ ვიცნობთ. მაგრამ ხომ შეიძლება, ნაცნობს გადაეყარო?
ფერნანდო – მერე რა?
ენრიკე – რა და, საკმაოდ უხერხული სიტუაცია შეიქმნება. *(დაჯდა, სიჩუმე.)* თქვენ მანქანითა ხართ?
ფერნანდო – დიახ.
ენრიკე – მეც. რა მოძრაობაა, არა?
ფერნანდო – როგორც ყოველთვის...
ენრიკე – უკვე სამჯერ გამესაუბრნენ. არ ვიცი, რაღა უნდათ?! თქვენ?..
ფერნანდო – მეც სამჯერ...
ენრიკე – ჩემსავით. *(საღეჭი რეზინის კოლოფს ამოიღებს)* მენთოლისაა.
ფერნანდო – არ მინდა, გმადლობთ.
ენრიკე – სიმართლეს გეტყვით და სულაც არ მეგონა, ამ ტურამდე

თუ მოვაღწევდი. ძალიან პატარა ფირმაში ვმუშაობდი, ეს კი... შეხედეთ, რა ავეჯია, რა ანტურაჟი...

ფერნანდო – არის, რა...

ენრიკე – მაგრამ საერთაშორისო კომპანიაში არასოდეს მიმუშავია. თქვენ?

ფერნანდო – მე ბევრგან ვმუშაობდი.

ენრიკე – თავზარდამცემი პირობებია. ხელფასი კი... არ ვიცი, თქვენ რამდენს გიხდიდნენ, მე კი ორჯერ ნაკლები გამომდიოდა, ვიდრე აქ გვპირდებიან. ძალიან მეშინოდა, არ დამგვიანებოდა. კასტელიანზე საცობში გავიჩხირე და იმწამს ვიფიქრე: „აი, დავაგვიანებ და კარგად მეყოლე-მეთქი!“ ეს მნიშვნელოვანი მომენტია. ხანდახან ყველაფერი რაღაც წვრილმანზეა დამოკიდებული. კადრებში დიდხანს ვმუშაობდი და აი, რას გეტყვით: წვრილმანებია რაც არის! მთავარი სწორედ წვრილმანია. როგორ აცვია, ხელი როგორ ჩამოგართვა და, რა თქმა უნდა, მანქანა! ყოველთვის ვცდილობდი, კანდიდატი მანქანამდე მიმეცილებინა. მანქანას პატრონზე ბევრი რამ შეუძლია გიამბოს. ნუ გაიკვირვებთ, მანქანას ლაპარაკი შეუძლია. ხანდახან პატრონი მაგარია, მანქანას შეხედავ და ისე დაფეხვილია, შეგეცოდება.

ფერნანდო – დამშვიდდით. არ დაიგვიანეთ, დროზე მოხვედით; ასე რომ, დამშვიდდით. *(დიდ კარში შემოდიან – მერსედეს დეგასი და კარლოს ბუენო. ორივენი ოცდაათს გადაცილებული არიან. მერსედესს ელეგანტური კოსტიუმი აცვია, კარლოსს – სპორტული შარვალი და კოსტიუმი. ჰალსტუხი არ უკეთია, – საყურე უკეთია)*

კარლოსი – *(მერსედესს)* მიდი! შედი, შედი!

მერსედესი – არა, ჯერ შენ მიბრძანდი.

კარლოსი – შედი-მეთქი. გთხოვ.

მერსედესი – *(იღიმება)* რატომ? ქალი რომ ვარ, იმიტომ?

კარლოსი – დიახ, იმიტომ, რომ ქალი ხარ.

მერსედესი – შევალ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ქალი ვარ! *(დამხვდურებს)* გამარჯობა.

ფერნანდო და **ენრიკე** – გამარჯობა.

კარლოსი – გამარჯობა. *(წარუდგება)* კარლოს ბუენო. *(ფერნანდოს ხელს გაუწოდებს)*

ფერნანდო – ფერნანდო პორტა. *(ერთმანეთს ხელს ართმევენ)*

მერსედესი – მერსედეს დეგასი.

ენრიკე — ენრიკე ფონტი.
კარლოსი — გასაუბრება თქვენ უნდა ჩაგვიტაროთ?
ენრიკე — არა, არა... ჩვენ... ჩვენც პრეტენდენტები ვართ.
კარლოსი — ორივე? ჩვენც...
მერსედესი — აბა, ვინ გამოგვცდის?
ენრიკე — ჯერ არ ვიცით. *(მერსედესი და კარლოსი ნივთებს ალაგებენ)*
მერსედესი — სამი კაცი და ერთი ქალი! როგორც ყოველთვის...
კარლოსი — ქალბატონებს ოცდახუთი პროცენტი! პოლიტკორექტულობა დაცულია.
მერსედესი — მახვილგონივრული შენიშვნაა. ბევრიც ვიცინეთ. საკუთარ რეპერტუარს არ ღალატობ. ისე, რომ იცოდე, ჩვენს დროში პოლიტკორექტული შეფარდება ორმოცდაათი ორმოცდაათზეა.
ენრიკე — ერთმანეთს იცნობთ?
კარლოსი — დიახ. კურსებზე ერთად ვსწავლობდით.
მერსედესი — მაგრამ, როგორც ატყობთ, მე უფრო ბეჯითად ვმეცადინეობდი.
კარლოსი — ყველაფერი დაზეპირებული ჰქონდა. შუიდან ვერაფერს მოგიყვებოდათ. ძალიან მაგარ დროს ვატარებდით.
ენრიკე — აი, ხომ გითხარით? ნაცნობს აუცილებლად გადააწყდება კაცი!
კარლოსი — ახლა როგორ უნდა მოვიქცეთ?
მერსედესი — ყველას ერთად გამოგვცდიან?
კარლოსი — ყოველ შემთხვევაში, მე ასე მითხრეს: ყველას ერთად გაგესაუბრებითო.

პაუზა

ენრიკე — მანქანითა ხართ?
კარლოსი — მე? დიახ.
ენრიკე — რა საშინელი მოძრაობაა, არა?
კარლოსი — საზარელი!
ენრიკე — მადლობა ღმერთს, მანქანების გასაჩერებლად ადგილი რომ მოუნიშნიათ.
კარლოსი — ჩადგომა მაინც გამიჭირდა.
ენრიკე — თქვენც სამი გასაუბრება გქონდათ?
კარლოსი — პირადად მე — სამი.
მერსედესი — მეც სამი მქონდა.

ენრიკე – ესე იგი, ეს მეოთხეა. ბევრი შემოწმება გამივლია, მაგრამ ზედიზედ სამი ჯერ – არა! ვერ მივმხვდარვარ, კიდევ რა უნდათ ჩვენგან?! *მოულოდნელად გვერდით კედელში იხსნება სარკმელი. ეს საფოსტო ყუთის მაგვარი რაღაცაა, აქამდე შეუმჩნეველი. სარკმლის პატარა კარი შიგნით იღება და პატარა სათავსოს ქმნის. ამ სამალავთან ყველაზე ახლოს მერსედესი აღმოჩნდება.*

მერსედესი – ოი! აქ, მგონი, რაღაც დევს. *(სამარისებური სიჩუმე)*

კარლოსი – ერთი ნახე, რა არის?

მერსედესი რაღაცას გამოიღებს თუ არა, სარკმელი სწრაფად იხურება.

მერსედესი – კონვერტი და წამმზომია.

ფერნანდო – წამმზომი?!

მერსედესი – ჰო, პატარა, ხელის წამმზომია.

კარლოსი – კონვერტს რაიმე აწერია?

მერსედესი – არა. გავხსნა?

ფერნანდო – რას მეკითხები? მე რა ვიცი!

მერსედესი – *(კონვერტს ხსნის და კითხულობს)* „გამარჯობა! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. როგორც თქვენთვის ცნობილია, დღეს ვიწყებთ შესარჩევ ტურს, რომლის შედეგების მიხედვითაც ერთ-ერთი თქვენგანი დაინიშნება ფირმა „დეკიას“ კომერციულ დირექტორად. თქვენ დასახელებული თანამდებობის ერთადერთი კანდიდატები ბრძანდებით. გასაუბრება ჩვეულებრივი არ გახლავთ. ეს შეხვედრა შვედეთში ჩვენი ცენტრალური განყოფილების ინსტრუქციების შესაბამისად მოვაწყეთ. თუ რომელიმე ეტაპზე დავალების შესრულება თქვენთვის მიუღებელი აღმოჩნდება, შეგიძლიათ, დარბაზი დატოვოთ. შემოსასვლელი კარი ღიაა. ოღონდ, გაფრთხილებთ: თქვენი წასვლა, ნებისმიერი მიზეზის მიუხედავად, შეფასდება, როგორც უარი შემოთავაზებულ თანამდებობაზე. პირველი დავალება ასეთია: თქვენ გამოგიცხადეს, რომ ვაკანტური თანამდებობის უკანასკნელი პრეტენდენტები ბრძანდებით. თუმცა არავის უთქვამს, რომ პრეტენდენტი ოთხია. ვაზუსტებთ: თანამდებობის ჭეშმარიტი მაძიებელი მხოლოდ სამნი ხართ. ერთ-ერთი თქვენგანი ჩვენი, პერსონალის შერჩევის დეპარტამენტის თანამშრომელია. კონვერტს თან ახლავს წამმზომი. თქვენ მხოლოდ ათი წუთი გაქვთ იმისათვის, რომ ამხილოთ ჩანერგილი პირი. თუ შეიძლება, მარჯვენა ღილაკს

თითი დააჭირეთ და ჩართეთ წამმზომი. გმადლობთ“. ეს არის და ეს.

კარლოსი — გენიალურია! დაგლიჯეს!

ენრიკე — ერთი წამი მაჩუქეთ! რა ხდება? ესე იგი, ერთ-ერთი ჩვენგანი...

კარლოსი — როგორ მიხვდი?!

მერსედესი — ისღა დაგვრჩენია, გამოვიცნოთ, ვინ არის...

ფერნანდო — მე კი მეგონა, ნორმალური გასაუბრება გვექნებოდა.

ენრიკე— ესე იგი, არის ერთი პრეტენდენტი, რომელიც სინამდვილეში, პრეტენდენტი არ არის. და ჩვენ უნდა გამოვააშკარაოთ!

კარლოსი — გავიგეთ, ბატონო, გავიგეთ!

ენრიკე — შესანიშნავია!

ფერნანდო — რა არის შესანიშნავი?

ენრიკე — შესანიშნავად მოუფიქრებიათ. მატყუარა უნდა ვიპოვოთ. შესანიშნავია, აბა, რა! აქ რომ მოვედით, ხომ გვეგონა, ყველანი თანასწორი კანდიდატები ვიყავით! თურმე ასე არ ყოფილა.

მერსედესი — რა ვქნა? ჩავრთო? *(ღილაკს თითს აჭერს)* წამმზომი ჩაირთო!

ენრიკე — მოდი, გავერკვეთ. ესე იგი, ერთ-ერთი ჩვენგანი ნამდვილი პრეტენდენტი არ არის.

პაუზა. ყველანი ერთმანეთს შესცქერიან.

მერსედესი — ესე იგი, ერთ-ერთი ჩვენგანი ექსპერტია.

ფერნანდო — დიახ. და ადვილი შესაძლებელია, სწორედ შენა ხარ ექსპერტი.

მერსედესი — მე? არა, მე არა ვარ.

ფერნანდო — ერთი ჩვენგანი თვალთმაქცობს. ეს ნებისმიერს შეუძლია.

ენრიკე — მხოლოდ ათი წუთი გვაქვს. ეს არც ისე ბევრია. მგონი, ჭკვიანური იქნება, გამორიცხვის მეთოდით ვიმოქმედოთ. ნუ ვეცდებით, შემოგზავნილი ტიპი პირდაპირ ამოვიცნოთ.

ფერნანდო — შემოგზავნილი ტიპი. *(ვესლიანად)* ცრუმაგიერი პირი... ცრუ ანუ ყალბი!

ენრიკე — ჯერჯერობით, ნათელი მხოლოდ ის არის, რომ თქვენ ორნი ერთმანეთს იცნობთ.

მერსედესი და კარლოსი ერთმანეთს შესცქერიან.

კარლოსი — მაგრამ კარგა ხანია ერთმანეთი არ გვინახავს.

ენრიკე — რა მნიშვნელობა აქვს. თუ მოგზავნილი ტიპი ერთ-ერთი

თქვენგანია, თქვენვე საკმაოდ იოლად დაადგენთ. ერთმანეთზე რაღაც ხომ მაინც იცით. მხოლოდ ათი წუთი გვაქვს. თქვენვე უნდა გინდოდეთ, ცრუ პრეტენდენტი სწრაფად გამოვლინდეს. პრობლემა ერთით ნაკლები დაგვრჩება. რას იტყვით?

მერსედესი – ცოტა მადროვეთ, მოვიფიქრო.

კარლოსი – რაც მერსედესზე ვიცი, საკმაოდ ძველი ცნობებია. მაგრამ ამავე დროს...

მერსედესი – მოიცა, კარლოს. დაფიქრდი, ვიდრე რაიმეს იტყოდე.

კარლოსი – რაზე დავფიქრდე?

მერსედესი – მხოლოდ ოთხნი ვართ.

კარლოსი – მერე რა?

მერსედესი – არაფერი. დაუფიქრდი, რაც გთხოვეს. აქ უნდა გამოირკვეს, სწორად და სწრაფად ვის შეუძლია მიხვდეს და ვის – არა.

კარლოსი – აა... მართალია.

კარლოსი ფერნანდოსა და ენრიკეს უყურებს.

ფერნანდო – ესენი არაფერსაც არ იტყვიან.

ენრიკე – რატომ?

ფერნანდო – იმიტომ! ამათ რაც იციან, თავისთვის იციან და არაფერსაც არ გაგვიზიარებენ. საკუთარი თავის საზიანოდ ზედმეტ კოზირს რატომ გადმოგვიგდებენ? ამათი რომ ვიყო, მეც ასე მოვიქცეოდი.

ენრიკე – ვერ გაგიგეთ.

ფერნანდო – ბიჭო, შეიგნე: აქ კონკურენციაა, კონკურენცია!! ერთი ბეწო ინფორმაციასაც კი არ გაგვიმხელენ. უნდა ვაღიაროთ, რომ მურტალი დავალებაა. მხოლოდ ის კი არ უნდა გამოააშკარავო, ვინ თვალთმაქცობს; ამას გარდა, დანარჩენებსაც გონი უნდა აუბნიო. აბა, რა გამოვა, სამივე თუ მივხვდით, შემოგზავნილი ვინც არის? ყველაფერი რით დამთავრდება? სამივემ მოვიგეთ და ეგ არის. მერე?

ენრიკე – ინსტრუქციით, ცრუ კანდიდატის გამოვლენას გვავალებენ: იმას კი არ გვთხოვენ, ერთმანეთს კონკურენცია გაუწიეთო.

ფერნანდო – მისმინე, რაც სთქვი, უთქმელადაც ნათელია. ამაზე ლაპარაკი აუცილებელიც არ არის, მაგრამ ადგილი ერთია, ჩვენ კი – სამნი! ესე იგი, კონკურენტები ვართ.

მერსედესი — ჩემი აზრით, ენრიკე მართალია. ეგებ, უკეთესია ერთად ვიმოქმედოთ?

კარლოსი — ერთად?

მერსედესი — დიახ. აბა, მომისმინეთ: კარლოსი კურსების დამამთავრებელი საზეიმო ვახშმის შემდეგ აღარ მინახავს. ეს კი ორი თუ სამი წლის წინ მოხდა.

კარლოსი — ორი.

მერსედესი — მაშინ ფარმაცევტულ ლაბორატორიაში მუშაობდა.

კარლოსი — ეხლაც იქ ვმუშაობ.

მერსედესი — მართალია. ამასწინათ ძველი ნაცნობი შემხვდა და ეს ფაქტი დაადასტურა, ესე იგი, ცრუ ტიპი კარლოსი არ არის.

კარლოსი — მერსედესი კი რომელიღაც კონსალტინგურ კომპანიაში მუშაობდა, ოღონდ ზუსტად არ მახსოვს, რომელში?

მერსედესი — აი სი ენში.

კარლოსი — ახლაც იქა ხარ?

მერსედესი — არა, ბანკში გადავედი. ოღონდ, თუ ნებას მომცემთ, არ ვიტყვი, რომელში!

სიჩუმე ჩამოვარდა, ფერნანდო და ენრიკე მერსედესისა და კარლოსის ნათქვამზე ფიქრობენ.

ფერნანდო — ხედავ?

ენრიკე — რას უნდა ვხედავდე?

ფერნანდო — რომ არაფერი გამოვა. შესაძლოა, ორივე ცრუობს. ასე ვთქვათ: ერთი მათგანი შემოგზავნილია, მეორე ამას მიხვდა, მაგრამ ჩვენ არ გაგვიმხელს, რადგანაც ჩვენზე ადრე, პირველი მიხვდა, რომ მეორე ტყუის.

ენრიკე — უხ, შენი! ასეთი რთული რა დაგვავალეს?!

ფერნანდო — ამათ გვიამბეს თავიანთი სამუშაოს შესახებ. ჩვენი საქმეა, დავუჯერებთ თუ არა. ახლა ჩვენ ჩვენი ვუთხრათ და გავთანაბრდებით.

მერსედესი — ფერნანდო, მგონი, შენ ერთი რამ გეშლება. ეს ტესტი ყველაზე საზრიანის კი არა, ჯგუფში კარგად მომუშავის გამოსავლენად მოიფიქრეს. მოდით, ვცადოთ და ნუ მოვატყუებთ ერთმანეთს. ცრუ ტიპს ერთად უფრო სწრაფად გამოვიჭერთ.

ფერნანდო — მშვენიერი აზრია. მაგრამ ვიდრე ყალბი ანუ ცრუ ტიპი ანუ ცრუმაგიერი არ დაიყვირებს, შემოგზავნილი ვარო, მანამ „ერთად“ არაფერი გამოგვივა. ნდობა გვაკლია.

კარლოსი — ჩემი აზრით... უკაცრავად, რა გქვიათ?

ფერნანდო — ფერნანდო.

კარლოსი — ფერნანდო მართალია. თქვენი ჯერია, ახლა თქვენ ორმა გვიამბეთ, ვინა ხართ?

ენრიკე — მე სასურსათო ფირმის კომერციული დირექტორი გახლავართ.

ფერნანდო — რომლის?

ენრიკე — ქალბატონს ხომ არ უთქვამს, რომელ ბანკში მუშაობს.

ფერნანდო — გამოყეყეჩდება კაცი! მეც კომერციული დირექტორი ვარ... ერთი ლაბორატორიის. საკვირველია, აქამდე რატომ არსად შემხვედრიხარ. *(კარლოსს)* „დისფარმში“ ვმუშაობ. არ ვმალავ. არც ვცრუობ; ვაღიარებ! შენ სად მუშაობ?

კარლოსი — არ გეტყვი. მითუმეტეს ახლა, როცა გავიგე, კოლეგები ვყოფილვართ.

მერსედესი — ვიცი, სადაც მუშაობს, არ სტყუის.

ფერნანდო — მაგრამ იმის გარანტიას ვინ მომცემს, შენ რომ არ სტყუი?

მერსედესი — რატომ უნდა ვიცრუო?

ფერნანდო — მერამდენედ უნდა აგიხსნათ?! შენ თუ დარწმუნდი, რომ ეს ვაჟბატონი შემოგზავნილი ტიპია, ამ ლეგენდას, ლაბორატორიის დირექტორობაზე, მხარს დაუჭერ, ჩვენ რომ არავითარი უპირატესობა არ მოვიპოვოთ.

მერსედესი — ნუ დამიჯერებ. შენი ნებაა. მაგრამ მაინც მგონია, აჯობებს, გუნდურად ვიმუშაოთ. მთავარია, ჩვენ, სამმა ვიპოვოთ მეოთხე, როგორც თქვენ უწოდებთ, შემოგზავნილი, ყალბი, ცრუ ანუ ცრუმაგიერი ტიპი. ასე რომ, სიცრუე ჩემს ინტერესებში არ შედის.

ფერნანდო — მაშინ გვითხარი, რომელ ბანკში მუშაობ. გაგვიმხილე ეს „საშინელი“ საიდუმლო. ახლა არა თქვი, რა ძალა მადგია, ვიცრუოო?

მერსედესი ორჭოფობს.

კარლოსი — „რავენტალში“ ვმუშაობ. მაშინვე არ გითხარით, რადგანაც... ერთი სიტყვით, არ გითხარით და მორჩა! ახლა კი მგონია, უკეთესი იქნება, როგორც ამბობენ, ღია, გამჭვირვალე თამაში დავიწყოთ.

ფერნანდო — „რავენტალშიო“ ამბობ? დიდი ხანია?

კარლოსი — ხუთი წელი.

ფერნანდო — ფელიქს გარიდის იცნობ?

კარლოსი — არა! ეგ ვინ არის?
ფერნანდო — ლაურას... ლაურა სანჩესს?
კარლოსი — ლაურა ვასკესს ვიცნობ.
ფერნანდო — მართალია. ლაურა გვარად ვასკესია.
კარლოსი — ფელიქს გარიდი ვინღაა?
ფერნანდო — ჩემი ბიძაშვილი. სავაჭრო ფლოტილიის კაპიტანია. რამდენი დარჩა?
მერსედესი — თითქმის ოთხი წუთი.
ფერნანდო — უნდა ვიჩქაროთ. მგონი, კარლოსი არ უნდა იყოს.
ენრიკე — რას მეუბნები?! ეგებ, ახლა შენც იმას აკეთებ, რასაც წუთების წინ მერსედესს აბრალებდი. ეგებ, მიხვდი, რომ ცრუობს და ჩვენს მოტყუებაში ხელს უწყობ.
ფერნანდო — მე თუ ხელს ვუწყობ, მერსედესიც ხელს უწყობს.
კარლოსი — სიმართლეს ვამბობ: ხელს არავინაც არ მიწყობს. აი, შენ კი... მაპატიე, მაგრამ „დისფარმის“ კომერციულ დირექტორს კარგად ვიცნობ, რაღაც ვერ გამსგავსებ იმ ტიპს.
ფერნანდო — ვის ვერ მამსგავსებ? დირექტორი ვინ არის?
კარლოსი — ეგ შენ უნდა გვითხრა.
ფერნანდო — ვიქტორ დუნსბერგი.
კარლოსი — კი, მაგრამ, ახლა არ გვითხარი კომერციული დირექტორი ვარო?
ფერნანდო — დიახ, ვადასტურებ, კომერციული დირექტორი ვარ, ოღონდ ესტრემადურის ფილიალში.
კარლოსი — ააა... ესტრემადურის შესახებ არაფერი ვიცი.
ფერნანდო — ამაშია საქმე!
ენრიკე — ეგებ, ახლა ორივენი თვალთმაქცობთ?
ფერნანდო — და მერსედესიც, არა?
ენრიკე — მერსედესი თუ თავს გვაჩვენებს, ცრუ ტიპი არა ვარო, ეს შენც ხომ შეგიძლია?
ფერნანდო — მერსედესი თუ ცრუობს, მისი პირადი საქმეა. მე რა შუაში ვარ?
ენრიკე — შუაში კი არა, თავში ხარ. ამის ტყუილს ეთანხმები, ოღონდ მე დამაბნიო!
მერსედესი — ჩემი არცერთი სიტყვა სიცრუე არ ყოფილა. როგორ დაეთანხმები იმას, რაც არ ყოფილა?
ენრიკე — შესაძლოა, ასეც იყოს. შესაძლოა, მართალი თქვი. მაგრამ თუ *(ფერნანდოზე)* ეს მიხვდა, რომ ეს *(კარლოსზე)*

თვალთმაქცობს, მაშინ იფიქრებს, მერსედესიც ცრუობსო და შენს თამაშს აჰყვება, თუმცა, სინამდვილეში, თამაში აქ არ ყოფილა.

ფერნანდო — ახლა კი ძალიან გაახურე, ძმაკაც!

ენრიკე — არაფერიც! თუ ეს თავს ასაღებს იმ ტიპად, რომელიც არ არის და თქვენ, ორივემ იცით, რომ ცრუობს, მაშინ თქვენც მომატყუებთ; ეცდებით, ამის სიცრუე დამაჯეროთ. ესე იგი, მხარში ამოუდგებით.

ფერნანდო — თავს გაუფრთხილდი, ტვინი არ იღრძო. როგორც ვხედავ, გონებრივ ვარჯიშს მიუჩვეველი ხარ.

ენრიკე — მხოლოდ იმას ვცდილობ, მივხვდე – რა ხდება?

ფერნანდო — ახლავე დაგეხმარები. მე რომ ვთვალთმაქცობდე, ანუ შემოგზავნილი ვიყო, ეჭვიც არ შემეპარებოდა, ეს ლაბორატორიაში მუშაობს თუ არა, რადგანაც რამდენიმე გასაუბრება უკვე გვქონდა. ამას გარდა, კურიკულუმ ვიტა ანუ სივი ყველამ ჩავაბარეთ. ხომ ასეა? აქაური, ამ ფირმის კაცი რომ ვიყო, ამაზე ყველაფერი ზეპირად მეცოდინებოდა და ბევრად უფრო კარგ და დამაჯერებელ ლეგენდას მოვიფიქრებდი. ლაბორატორიაზე არაფრით არ ვებაზრებოდი, რადგანაც ლაბორატორიის შემთხვევაში იოლად გამომიჭერდა – აქაური რომ ვარ.

ენრიკე — შეგიძლია, გამიმეორო?

ფერნანდო — კარლოსს შეუძლია, ჩემი სამუშაო ადგილის შესახებ ნებისმიერი რამ მკითხოს.

კარლოსი — დროს ტყუილად ვკარგავთ. დამარწმუნა. ცრუ ტიპი არ არის. შემოგზავნილი ერთ-ერთი თქვენგანია. მერსედესის ბანკის ამბავიც ფრიად ბუნდოვანია. საერთო ნაცნობებიდან ამის ბანკზე არცერთს კრინტი არ დაუძრავს.

მერსედესი — „დეკიას“ კონკურსში მონაწილეობა რომ გადავწყვიტე, ქვეყანა შევყარე და შენ რომ აქ მუშაობდე, ნაცნობ-მეგობრებიდან ვინმე გამაფრთხილებდა.

კარლოსი — ნამდვილად, ლოგიკურია.

მერსედესი — კარგი... თუ გინდათ, მაინცდამაინც ძალიან გულახდილი ვიყო, გეტყვით: „ხმელთაშუაზღვის“ ბანკში მარკეტინგის განყოფილების უფროსად ვმუშაობ.

კარლოსი — დიდი ხანია?

მერსედესი — ნახევარი წელია.

კარლოსი — და უკვე სამსახურის შეცვლა გინდა?

მერსედესი — საკვირველი რა არის?

კარლოსი – არაფერი.

ფერნანდო – *(ენრიკეს)* ახლა შენი ჯერია.

ენრიკე – მივხვდი... მგონი, გამოვიცანი. ყურებით დაგვიჭირეს. გვაბითურებენ.

ფერნანდო – ეს ორი, არა?

ენრიკე – არა. ამათ გვითხრეს, ერთი კონკურენტი შემოგზავნილიაო. ჩვენც დავიჯერეთ. მე კი ვფიქრობ, ჩვენ – ოთხივენი – ნაღდები ვართ და დამკვირვებელი არავინ არის.

კარლოსი – მაშინ, რა ჩემ ფეხებად გვათამაშებენ ამ კომედიას?

ენრიკე – სწორედ იმისათვის, რომ დაინახონ, გვაქვს თუ არა უნარი, სიცრუე გავხსნათ. შტატებში პერსონალის შერჩევის დროს ასეთი ამბები მოსულა. დაგისახავენ ამოცანებს, დაგიგებენ რაღაც ხაფანგებს და გაკვირდებიან, შეძლებ თუ არა, სიტუაციას ახალი თვალთახედვით შეხედო. აქ, ჩვენ შემთხვევაში, დაგვაჯერეს, ვითომ გვყავს შემოგზავნილი კონკურსანტი, რომელიც დანარჩენებს გვამაიმუნებს. სინამდვილეში კი ყველანი პირველი წუთებიდანვე გაგვაბითურეს.

კარლოსი – სისულელეა. და იცით, რატომ? რა საჭიროა ვარჯიში გამჭრიახობის დახვეწაში, თუ არავინ გვიყურებს?

ენრიკე – მერედა ვინ გითხრა, რომ არ გვიყურებენ. ძალიან კარგადაც გვითვალთვალებენ. ამ დარბაზში, ალბათ, ათასი სათვალთვალო კამერა იქნება დამონტაჟებული.

კარლოსი – სად, სად არის დამონტაჟებული?

ენრიკე – მე რა ვიცი. სადაც გნებავს, ყველგან! მაგალითად, ნათურებში... ადგილი ცოტაა? ამათ ფანტაზიას ხომ საზღვარი არა აქვს?

ოთხივე ათვალიერებს დარბაზს.

კარლოსი – ასე გგონია?

ფერნანდო – იცი, რას გეტყვი: ძალიან დაწყობილად ლაპარაკობ! ისე დაწყობილად, რომ ვერც ვიჯერებ. შენა ხარ, ძმაო, მოგზავნილი. ერთადერთი ხარ, ვისაც არაფერი გითქვამს სამუშაოზე. პერსონალის შერჩევაზე კი იმაზე მეტიც იცი, ვიდრე უნდა გცოდნოდა, რადგანაც აქ სწორედ ამ ხაზით მუშაობ.

მერსედესი – მეც ასე ვფიქრობ. ხომ გახსოვთ, რა თეორიები დაგვახალა, როცა იაზრა, რომ საცაა გამოვიჭერთ. ჩვენ გულახდილად გავიხსენით, ამან კი დრო იხელთა, ჯერ გაჩუმდა, მერე კი დაიწყო – გვაბითურებენო!

კარლოსი – არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. ამის თეორია მომეწონა. ეგებ, უფრო დაწვრილებით გაშიფროს...

ფერნანდო – ჯერ გვითხრას, რომელ სასურსათო კომპანიაში მუშაობს.

ენრიკე – არ ვიტყვი.

კარლოსი – რატომ?

ენრიკე – იმიტომ, რომ არ მინდა. საჭირო არ არის.

კარლოსი – *(მერსედესს)* დრო დაგვრჩა?

მერსედესი – ორი წუთი... და რაღაც წამები.

კარლოსი – ამას არაფრის თქმა არ უნდა და დარწმუნებულია, რომ სწორად იქცევა. მიზეზი იგივეა, ფერნანდოს რომ ჰქონდა, როცა მე და მერსედესს გვაწვებოდა. ანუ: არაფერი ისეთი არ უნდა წამოგცდეს, რაც კონკურენტებს წაადგება. რომ ეთქვა, სადაც მუშაობს და ეს დამაჯერებლად მოგვჩვენებოდა, ჩვენ – ყველა – ყველა! უკლებლივ წინ წავიწევდით. ამას კი ნებავს მხოლოდ თვითონ, ერთმა გაიმარჯვოს. ასე რომ, ვფიქრობ, ენრიკეს სწორი ვარაუდი აქვს: ყველანი ნაღდი კონკურენტები ვართ.

ფერნანდო – არა მგონია. შემოვიდა თუ არა, ჯერ კიდევ თქვენს მოსვლამდე, ყურები გამომიჭედა გასაუბრების ლანძღვით. „არატრადიციული მეთოდიკა აქვთო!“ მერე აჭიკჭიკდა და მიამბო, პერსონალს ასე და ისე ვარჩევდიო. ყველაფერი ეს თავიდანვე საეჭვო მეჩვენა.

ენრიკე – მაგალითად?

ფერნანდო – შერჩევის სისტემას რომ აკრიტიკებდი: „რაღაც უცნაურია, კონფიდენციალურობა აკლიაო“, ნამდვილი კონკურსანტი რომ იყო, სულ სხვანაირად, ჩვენსავით ფრთხილად მოიქცეოდი. ჩვენსავით იტყოდი: მშვენიერი წესები აქვთო. გასაუბრებაც კარგად მოუფიქრებიათო, ვერავითარ პრობლემას ვერა ვხედავო და ა.შ. გასაგებია? აღიარე: არანორმალურად იქცეოდი.

ენრიკე – პირიქით, შენ თვითონ იქცევი არანორმალურად.

ფერნანდო – შენა ხარ, შენა ხარ შემოგზავნილი! დღესავით ნათელია!

ენრიკე – თავისგასამართლებელი ათასი არგუმენტი შემიძლია მოგახსენოთ, მაგრამ ამას არ ვიზამ, რადგანაც ასე ძალიან გინდათ, რომ შეცდეთ.

ფერნანდო — ათასი არგუმენტი აქვს, მაგრამ ერთსაც ვერ ამბობს.

ენრიკე — არ მინდა და იმიტომ! თავის გამოდება თქვენთვის არამია! იცით, როგორ უნდა მოვქცეულიყავი? დრო განგებ უნდა გამეწელა. ათი წუთი რომ გავიდოდა და სამივე ფუნაში აღმოჩნდებოდით, მაშინ უნდა გამემხილა ჩემი ვარაუდი.

ფერნანდო — კი, მაგრამ შენ არა გვთხოვდი, გუნდურად ვიმუშაოთო?

მერსედესი — მორჩა! დრო ამოიწურა! რაღაც უნდა გადავწყვიტოთ.

კარლოსი — ენრიკეს ვეთანხმები: ყველანი ნაღდები ვართ.

ენრიკე — ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ.

ფერნანდო — მე კი ვამბობ, ცრუ ტიპი ენრიკეა-მეთქი!

ენრიკე — ენრიკე ფონტი, თუ არ შეწუხდებით,

ფერნანდო — ნუ ახურებ, თუ ძმა ხარ. ალბათ, სახელიცა და გვარიც სულ სხვა გაქვს..

მერსედესი — მე კი არ ვიცი, რა ვთქვა. ჯერ არ გადამიწყვეტია.

კარლოსი — ამდენს ტყუილად ყოყმანობ. ასე ნუ იქცევი. გვითვალთვალებენ.

მერსედესი — კარგი... მაშინ ვიტყვი... მეც ენრიკე მგონია.

პაუზა.

ფერნანდო-ახლა რაღა ვქნათ?

სარკმელი იღება.

კარლოსი — ახლავე გავიგებთ. მერსედეს, ნახე, ერთი, რა არის? იცოდე, იმიტომ არ გთხოვ, რომ ქალი ხარ.

მერსედესს სარკმლის სიღრმიდან წერილი და საფერფლე ამოაქვს.

მერსედესი — ენრიკე ფონტ. კონვერტზე შენი გვარი აწერია.

ენრიკე მერსედესს წერილს გამოართმევს, კონვერტს გახსნის, უსიტყვოდ კითხულობს.

ფერნანდო — ხმამაღლა წაიკითხე, ძმაკაც!

ენრიკე — არ შემიძლია *(წერილს ჩაიკითხავს და ყუთში ჩააბრუნებს. სარკმელი მაშინვე იკეტება)*

მერსედესი — ვინ აღმოჩნდა მართალი?

კარლოსი — რა ეწერა?

ენრიკე — ვისაც სურს, შეუძლია გააბოლოსო.

მერსედესი საფერფლეს მაგიდის შუაგულში დადებს. ენრიკე

ჯდება და ჩაფიქრდება, ხელებს თავზე შემოიწყობს. სამივე ყურადღებით შესცქერის მას.

ფერნანდო – რაო, ვინ მოიგოო?

ენრიკე – ეგ არ ეწერა.

მერსედესი – ამაზე არაფერი ეწერა?

ენრიკე – არც ერთი სიტყვა.

კარლოსი – ესე იგი, მე და ენრიკემ გამოვიცანით; ოთხივენი ნაღდები ვართ. თქვენ კი, მგონი, წააგეთ. ახლა რაღა უნდა ვქნათ? როგორ მოვიქცეთ?

ენრიკე – ისევ თავზეხელშემოწყობილი ზის, რაღაცით დათრგუნულია.

ენრიკე – არ ვიცი.

კარლოსი – რა ეწერა?

ენრიკე – მთხოვეს... მე... მე მთხოვეს... არ ვიცი, როგორ მოვიქცე...

მერსედესი – როგორ თუ არ იცი?! ვერ გაიგე, რაც ეწერა?

ენრიკე – არა... გაგებით, ყველაფერი გავიგე.

კარლოსი – მერე?

ენრიკე – კარგი, ვცდი... ვეცდები, აგიხსნათ. *(მცირე პაუზა)* მე... ასე ვფიქრობ და მჯერა – ყველა საქმეში მთავარი შედეგია. შედეგი ყველა პირად მოსაზრებაზე მთავარია.

კარლოსი – მერე?

ენრიკე – ამავე დროს, დარწმუნებული ვარ, დიდ, ნამდვილად კარგ ფირმებში, უნდა გაითვალისწინონ ადამიანური ფაქტორი, თანამშრომლებმა რომ იამაყონ ამგვარ დაწესებულებაში მუშაობის გამო. მე... ასე მგონია.

ფერნანდო – სავსებით გეთანხმებით. აქვე დავუმატებდი: თუ ფირმა თანამშრომლებზე ზრუნავს, ეს კეთილად ისახება მუშაობის დონესა და შედეგზე.

ენრიკე – თუ შეიძლება, დავამთავრებ.

ფერნანდო – მეგონა, ყველაფერი სთქვი და კომენტარის დრო დადგა-მეთქი!

ენრიკე – არა... ახლა... ალბათ, ცუდად დავიწყე. არა, არა, დაწყებით კარგად დავიწყე. უბრალოდ, ყველაფერი ნათელი უნდა იყოს მანამ, სანამ... მთავარს გეტყოდეთ. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს... გასულ წელს ცოლს გავშორდი... თანაც... როგორღაც – უცებ. თვითონ არ ველოდი. და... დეპრესია დამეწყო.

კარლოსი — რა დაგეწყო?

მერსედესი — მოეშვი.

ენრიკე — ჩემმა ცოლმა გაიგო... თუმცა, ეს მთავარი არ არის. ორი შვილი გვყავს. ორივე წაიყვანა. გაყრის პროცესი საკმაოდ მძიმე გამოდგა, ალბათ, ყველასნაირი. და ერთ მშვენიერ დღეს გავფუჭდი. იმიტომ კი არა, დარტყმას ვერ გავუძელი... სიმუხთლისთვის ბევრჯერ გამისწორებია თვალი. იმდენი საწყენი და დასანანი მოულოდნელობები დამესია, უცებ დამნაშავედ ვიგრძენი თავი. აი, ეს გრძნობა დამეუფლა: თითქოს ყველაფერს ვაფუჭებ, რასაც ვეხები. და იცით, რატომ? იმიტომ, რომ მე და ჩემი მეუღლე ბედნიერები ვიყავით. მართლა, მართლა! ვიცი, ყველა ამას ამბობს, მაგრამ ჩვენ მართლა ბედნიერები ვიყავით. ამას ჩემი ცოლიც აღიარებს. უცებ, მოულოდნელად, ბინაში მარტო დავრჩი. მეგობარი ცოტა მყავს. სიტყვის გამცემი არავინა ჩანს! და... ჩავიკეტე, გულჩათხრობილი გავხდი.

ფერნანდო — მომიტევე, რა თქმა უნდა: შეგიძლია განაგრძო, სულისშემძვრელი ამბავია, მაგრამ ჯერ გაგვიმხილე, ამ მშვენიერ მელოდრამაში რა როლი გვაკისრია? აზრზე ხომ უნდა ვიყოთ, რაიმე მოულოდნელმა რომ არ დაგვაბნიოს!

ენრიკე — ყველაფერს გეტყვით, დამამთავრებინეთ. თქვენ სამივემ, ალბათ, ჩემზე უკეთ იცით ინტერნეტი, ჩატები და ამისთანები. მოკლედ, ჩატში შევძვერი; ვიღაცას ხომ უნდა დაველაპარაკო?! და ერთ გოგონას პაემანი დავუნიშნე. შევხვდით. ყავა დავლიეთ. კოხტა და საკმაოდ ლამაზი აღმოჩნდა. ვისაუბრეთ. ბევრი ვილაპარაკეთ, რადგანაც დიდხანს ხმა არავისთვის გამიცია. მომავალ შეხვედრაზეც შევთანხმდით და შინ დავპატიჟე. მინდოდა... არა, გაგიჟებით კი არ მინდოდა... ამ თვალსაზრისით სატრაბახო ბევრი არაფერი მაქვს. ჩემთან რომ ავედით, პისტოლეტი დააძრო.

მერსედესი — პისტოლეტი?

ენრიკე — დიახ, პისტოლეტი. იქვე მისი თანამზრახველიც გაჩნდა და რაც მებადა, ყველაფერი წაიღეს.

კარლოსი — დაგვცინი თუ გვაშაყირებ?

ფერნანდო — გვაშაყირებს და უკვე დიდი ხანია!

ენრიკე — მერე მიმათრიეს რამდენიმე ბანკომატთან და ჩემი ბარათიდან მოხსნეს რაც ფული მქონდა. ამას პირველად ვაცხადებ. მინდა,

კარგად გაიგოთ, ბოლო რამაც მომიღო. კონტროლი საკუთარ თავზე საბოლოოდ დავკარგე.

ფერნანდო — კონტროლი დავკარგეო? ეს რაღას ნიშნავს? გესმით, რაებს ბოდავს?

კარლოსი — მე რა ვიცი?!

ენრიკე — უარესად გავხდი. ექიმმა, ბიულეტენზე გადიო. უარი ვუთხარი. ჩემს ფირმას დღე-დღეზე საზღვარგარეთ ფილიალი უნდა გაეხსნა. ამაზე ორი წელი ვმუშაობდი. ბაზარი უნდა მოგვეპოვებინა იმაში... ერთ ქვეყანაში. ექიმისთვის უნდა დამეჯერებინა, რადგანაც არტერიული წნევა უკიდურესად დაეცა. ყოველდღიურად უაღრესად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა მიმეღო. უზარმაზარი ავანსები შემქონდა. ყველაფერი სასწრაფოდ იყო მოსაგვარებელი და დირექციას მხოლოდ ჩემი იმედი ჰქონდა. ერთ დაწესებულებას დავუკავშირდი — არ გამიმართლა. საქმე, როგორც ვიმედოვნებდი, ისე არ წარიმართა. ჩემთვის ვფიქრობდი: მუშაობაში ჩავეფლობი და პირადი უსიამოვნებანი დამავიწყდება-მეთქი. უარესი დამემართა. ერთი სიტყვით, ყველა შეცდომის გამოსწორება ახლა ძალიან ძნელია და ჩემი უფროსობა ფიქრობს... დღემდე ღირსეულ თანამშრომლად მივაჩნდი, სახელიც კარგი მქონდა. ყოველ შემთხვევაში, ასე ამბობდნენ, მაგრამ მოსახდენი მოხდა და ამჟამინდელ სიტუაციაში ჩემი და ჩემი მომავლის თაობაზე ხელმძღვანელობამ რაღაც უნდა მოიფიქროს. და აი, მთავარსაც მივადექით. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ ჩემი ბედი, თითქოს ჩემი უფროსები ხართ. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, განვაგრძობ თუ არა მუშაობას ჩვენს საზღვარგარეთულ პროექტზე. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, მანდობთ თუ არა ახალ საქმეებს... თუ მარტივად მომიშორებთ და გამათავისუფლებთ.

კარლოსი — ჩვენ?

ენრიკე — დიახ.

მერსედესი — ჩვენი დავალება ეს არის?

ენრიკე — დიახ.

კარლოსი — ეს პირობითობაა თუ სინამდვილე?

ენრიკე — რა მნიშვნელობა აქვს?

ფერნანდო — პატივცემულო, პირადად მე მაინც ვერ გავიაზრე, კანდიდატი ხარ თუ ამათი?! და საერთოდ, ვისი ტიკი-ტომარა ხარ?

მერსედესი — თანახმა ვარ, კარგი, ვითამაშოთ. მაგრამ გადაწყვეტილების მისაღებად, რაც შენზე ვიცით, საკმარისი არ არის.

ენრიკე — მკითხეთ, რაც გნებავთ.

ფერნანდო — ვერაფერი გავიგე. შერჩევის ეს მეთოდი სირობაა და მეტი არაფერი. ბოდიში მომიხსენებია.

კარლოსი — მე დავიწყებ. ცოლმა რატომ მიგატოვა?

ენრიკე — ამ შეკითხვაზე არ გიპასუხებთ.

კარლოსი — ახლა არა სთქვი, მკითხეთ, რაც გნებავთო?

ენრიკე — ვთქვი, მაგრამ რომელზედაც მინდა, მხოლოდ იმ შეკითხვაზე გიპასუხებთ.

კარლოსი — ეგ შენთვის უარესია.

ენრიკე — რის გამოც ცოლმა მიმატოვა, საქმესთან კავშირი არა აქვს.

კარლოსი — გადაწყვეტილება ხომ ჩვენ უნდა მივიღოთ? თუ ასეა, ჩვენ გადავწყვეტთ, საქმესთან რასა აქვს კავშირი და რას — არა.

ენრიკე — ისედაც უამრავი რამ გიამბეთ ჩემს უბედურებაზე.

ფერნანდო — მართალია! ჩატის გოგონას ამბავი ჭეშმარიტად გულშემზარავი გამოგივიდა, ძმაკაც!

მერსედესი — კალამი მოვიმარჯვოთ და პრობლემასაც პროფესიონალურად შევხედოთ.

კარლოსი — მეც მაგას ვცდილობ და ამდენი შეკითხვაც ამიტომ გამიჩნდა. როგორც კომპანიის ხელმძღვანელმა, ახლა ამ როლში ვარ, გარკვევით მინდა მოგახსენო: თუ არ გინდა, ნუ გინდა, ნუ გვიპასუხებ, ძალას არ დაგატანთ, მაგრამ თუ ადგილის შენარჩუნებაზე ფიქრობ, გაიღე მოწყალება, გამოიჩინე გულწრფელობა და გვიპასუხე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დე ფაქტო გავარდები და ვერც ანგარიშგასასწორებელ დახმარებას მიიღებ. გასაგებია?

ფერნანდო — თანახმა ვარ, თუ ვთამაშობთ, ვითამაშოთ. მაგრამ ამჯერად ამის მხარეზე ვარ: არ მესმის, რაში გვჭირდება ცოლის წასვლის მიზეზი. ეგებ, სულაც ზანგი ევასა. ჩვენ რა ვიცით. მითხარით, ამისი ცოდნა რას შეგვმატებს?

კარლოსი — ძალიან ბევრს. საკმაოდ ღრმად უნდა ჩავწვდეთ ამის პირად ცხოვრებას, რომ საზოგადოებრივ საქმიანობაში ამ პირადულის ანაბეჭდი ვიპოვოთ.

ფერნანდო – გენიალურია! როგორ გეტყობა, პრივილეგირებულ დაწესებულებაში რომ სწავლობდი!

ენრიკე – ჩემმა ცოლმა გაიგო, რომ... ვუღალატე.

ფერნანდო – შენ უღალატე?

ენრიკე – დიახ.

ფერნანდო – ეხლა კი აღარ მჯერა!

მერსედესი – ამას აღარა აქვს მნიშვნელობა. იმ ინფორმაციით მოგვიწევს მუშაობა, რასაც მოგვაწვდის.

კარლოსი – ვისთან უღალატე?

ენრიკე – ჩვენივე თანამშრომელთან – გამავრცელებელთან.

ფერნანდო – აი, მესმის სერიალი – თვალცრემლიანი სულმოუთქმელად ვუყურებ! გამავრცელებელში გაცვალე? მორჩა! ჩემგან თავისუფალი ხარ! ჯანდაბამდე გზა გქონია და იმაზეც მკიდიხარ, შენ რომ იცი – ფეხზე!!

მერსედესი – ეგრე იოლადაც ვერ გამოვა. ეს ხომ ბრწყინვალე თანამშრომელია. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ასეთად ითვლებოდა. ხომ ასეა?

ენრიკე – მეც ასე მგონია.

მერსედესი – თუ გავუშვებთ, ამავე კვალიფიკაციის მუშაკის პოვნა გაგვიჭირდება. ნუ ავჩქარდებით.

ფერნანდო – *(ირონიულად)* როგორც გვიბრძანებთ! ნუ ავჩქარდებით.

კარლოსი – შენი რომანი იმ გამავრცელებელთან დამთავრდა თუ?

.**ენრიკე** – რამდენიმე თვეა! დამთავრდა.

კარლოსი – ეს კარგია; ყოველ შემთხვევაში, უკეთესია. ცოლთან განშორება? ისევ იტანჯები თუ თანდათან გეშვება გულზე?

ენრიკე – ვერ გეტყვი: ჯერ ისევ ხშირად ვფიქრობ მასზე.

ფერნანდო – ხშირად ფიქრობს! ყური დამიგდეთ: მზად ვარ სულითა და გულით ვუგულშემატკივრო ახალცოლგაყრილ მეგობარს, მაგრამ ეს კონკრეტული შემთხვევა, გულწრფელად გეტყვით, აინუნშიაც არ მომდის. ეს ყმაწვილი ოფისში ვიღაც ქალს გადაეყარა, ცოლმა გაიგო, შეტრიალდა და წავიდა. რას იზამ! ასეთია ცხოვრება! ეს კი თურმე დეპრესიაში ჩავარდა და სამსახურში საქმის მაგივრად რაღაც სისულელეები აკეთა. თანავუგრძნობ. მაგრამ ჩემთვის სულერთია, ადამიანი სამუშაოზე რის გამო იცრუებს გულს. ეს ახლა ცასა და მიწას შორის

არის გაჩხერილი. ჩვენ კი რა უნდა ვქნათ? რა ვაკეთოთ? რას გვიბრძანებთ? ზარალსა და დანაკლისს შევეგუოთ და ვუცადოთ, როდის ინებებს დედამიწაზე იმ თავისი ხიდან ჩამოსვლას? ვერ მივართვი! არ გამოვა! კაცმა საქმე უნდა აკეთოს, ძმაკაც!

მერსედესი — შვებულებაში რომ გავუშვათ?

ფერნანდო — ახლა, როცა იმ ქვეყანაში, რომელსაც გვიმალავს, ფილიალსა ვხსნით? ამ საქმეში ხომ ჩაისვარა და ჩაისვარა. აქეთ ცოლს დაადგა რქები, მაგრამ აქაც გამოიჭირეს. ზემოთქმულიდან ნათელია, რომ მაინცდამაინც მკვირცხლი აზროვნება არა აქვს. ჩვენი კაპიტალიც ხომ ზღაპრულად დააბანდა? ხომ ასეა? და ყოველივე ამის შემდეგ, შვებულებაში გნებავთ ინავარდოს? ჩვენ, რა, სერიოზული კომპანია ვართ თუ იესო ქრისტეს სახელობის საქველმოქმედო ფონდი?

მერსედესი — მე კი მგონია, ახლა ენრიკე უნდა შევცვალოთ და როცა გამოჯანმრთელდება, უკან დავაბრუნოთ. გამოცდილი მუშაკია. უკანასკნელ დრომდე ფირმაში სოლიდური შემოსავალი შემოჰქონდა. შანსი მივცეთ..

ფერნანდო — შანსი არა დილიჟანსი! არაფერიც არ უნდა მივცეთ! ადამიანი ან მუშაობს, ან — არა! და ასეთია ცხოვრებაც!

მერსედესი — ცხოვრებაში ყველას უდგება შავი, უიღბლო ხანა. ყველას ქუჩაში რომ ვაგდებდეთ, მხოლოდ რობოტები იმუშავებენ.

ფერნანდო — საკუთარ თავზე ილაპარაკე. აი, მე, მაგალითად, არასოდეს მქონია ეგ შენი შავი ანუ უიღბლო ხანა. ცუდი დღე თუ გამომივარდება, სამსახურში მაინც ვერავინ ვერაფერს შემამჩნევს. შეხვედი სამუშაო ოთახში, მიუჯექი მაგიდას და, კეთილი ინებე, ცირკის ჯამბაზივით მოირგე ნაბიჭვრისა თუ წმინდანის ნიღაბი, შტატით რომელიც გერგება. მერე იმუშავე, მიდი, მისცხე და შეუბერე! ვისაც ეს არ ძალუძს, პროფესიულად უვარგისია.

მერსედესი — მომისმინე. ვინმეს თუ ხელმძღვანელობ? ხელქვეითები გყავს?

ფერნანდო — აბა, რა!

მერსედესი — ხელქვეითებს უყვარხარ?

ფერნანდო — მაგათ ცოლები, შვილები და საყვარლები უნდა უყვარდეთ. ოღონდ სამუშაო ვალდებულებები და დავალებები შემისრულონ და თავში ქვა უხლიათ, თუნდაც ბუდაზე ილოცონ. ჩემთვის სულერთია.

კარლოსი — მოდი, ისევ ენრიკეს მოვუსმინოთ. ის შენი გამავრცელებელი... როგორია?

ენრიკე — რას გულისხმობ?

კარლოსი — რა აქვს ისეთი? როგორ წამოგიკიდა?

ენრიკე — აბა, როგორ გითხრა...

ფერნანდო — რა ექნება... კარგად გამოყვანილი ტრაკი — ერთი ცალი. დიდი ძუძუები — ორი ცალი. და ასე შემდეგ. გარნიტური ფრიად სტანდარტულია. რაებს ეკითხები?

კარლოსი — რაც მომესურვება, იმას ვკითხავ.

ფერნანდო — მაშინ ისიც ჰკითხე, რომელ დეზოდორანტს ხმარობს-თქო? სამუშაო პროცესზე ამანაც ხომ შეიძლება იმოქმედოს?!

კარლოსი — მინდა, გავიგო, იმ ქალზე დღესაც ფიქრობს თუ — არა. *(ენრიკეს)* თვითონ როგორ გგონია? როგორა ხარ? აზრზე მოხვედი?

ენრიკე — ცოტა.

კარლოსი — ჩვენი რომ იყო, როგორ მოიქცეოდი?

ენრიკე — ამას არ გვეკითხებიან.

კარლოსი — გვეკითხებიან. ასეთი ამბავი შენთვის მე რომ მეთქვა, რას იზამდი?

ენრიკე — აქ ყველას თავისი როლი აქვს. გადაწყვეტილებას მე ვერ მივიღებ — ჯერჯერობით.

მერსედესი — მაგრამ იბრძოლე მაინც! ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, გაგაგდებთ თუ არა და შენ კიდევ ისეთი სიფათი გაქვს, თითქოს ყველაფერი იმაზე გკიდია, როგორც ფერნანდომ სთქვა — ფეხზე. თითქოს გინდა, რომ გაგაპანღუროთ.. სამუშაოზე დარჩენა გსურს თუ არა?

ენრიკე — *(უხალისოდ)* მინდა.

ფერნანდო — ვერა ხედავ, ცხრა პირი ტყავი გაძვრა, დარჩენას ისე ცდილობს.

კარლოსი — მერსედესი მართალს ამბობს... გვითხარი... არც ვიცი, რა გიკარნახო... გვითხარი, რომ საკუთარ თავს მოერიე; რომ შენი პირადული სამუშაოზე აღარ იმოქმედებს. რაღაცა გვითხარი — თავი დაიცავი.

ენრიკე — უკვე ყველაფერი გიამბეთ, თანაც — გულწრფელად — დამიჯერეთ! დასამტებელი არაფერი მაქვს. ასეთია ჩემი თავდაცვის წესი. სხვაგვარად ვერ მოვიქცევი, არ მეხერხება.

ფერნანდო — თავდაცვის ეგ შენი წესი — ნატურალური, სუფთა

განავალია. იცი, რას ვნატრობ? რომ ეს ტესტი არ იყოს და ჩვენ კი ნამდვილად შეგვეძლოს ტრაკში პანღური ამოგარტყათ და მოუსავლეთში გისროლოთ, ოღონდ, ნაღდად. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ფრიად ვიკაიფებდი. ესეც არ იყოს: მივხვდი, რომ აბრახუნებს; რაც გვიამბო, მტკნარი სიცრუეა, შემოგზავნილია; შემოგზავნილია, აბა, რა! ცრუ ტიპი რომ არ იყოს, ასეთი რეგვენი უკანასკნელ ტურამდე როგორ მოაღწევდა? მეორე: სულ იმას გაიძახოდა, საერთაშორისო კომპანიაში არ მიმუშავიაო და ახლა გვეუბნება, ჩემმა ფირმამ საზღვარგარეთ ფილიალი გახსნაო. ან ახლა ტყუის, ან მაშინ ცრუობდა, ან ახლაც და მაშინაც გვაბოლებდა. მაგრამ რომ ტყუის, დღესავით ნათელია.

ენრიკე — არა ვცრუობ, არა! საერთაშორისო კომპანიაში მართლა არასოდეს მიმუშავია... ჩემი ფირმა მხოლოდ ახლა და პირველად ემზადება საზღვარგარეთ განყოფილების გასახსნელად.

ფერნანდო — მიდი, მიდი, ამოკემსე საკუთარი შეცდომები. თავიდანვე ვიყიდე: აქაურია!

ენრიკე — არა-მეთქი, გარწმუნებთ!

ფერნანდო — დაბრმავდით თუ რა დაგემართათ? კი, ბატონო, განვაგრძოთ თამაში. ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ, გავაგდებთ თუ არა ამას, ზემოთ მონათხრობი გულისმომკვლელი ნოველის საფუძველზე, ხომ ასეა? გავაგდებდი. მე გავაგდებდი, თანაც, სინდისის ქენჯნის გარეშე. ერთი საქმეა — სამუშაო და სულ სხვა რამეა — ოჯახური უსიამოვნებანი. ამათ ერთმანეთში თუ აურევ, ამ ქვეყნად ყველაფერს დაკარგავ და ქვეშჩაჯმული დარჩები. ასეა ეს.

ენრიკე — აქ მკითხეთ, ასეთი გადაწყვეტილება თუ მე უნდა მიმეღო, როგორ მოვიქცეოდი? გულწრფელად გეტყვით, არ ვიცი. თუმცა ერთხელ მომიხდა მსგავსი გადაწყვეტილების მიღება. სიმართლე გითხრათ, სიტუაცია სულ სხვანაირი იყო. ერთი კარგი მარკეტოლოგი გვყავდა. დეპრესიამ შეიპყრო. სამსახურიდან დავითხოვე, ოღონდ ვუთხარი, როცა გამოკეთდები, შემომიარე-მეთქი. აღარ შემხმიანებია. დავურეკე, მიპასუხეს, სხვაგან გადასახლდაო. მასზე მეტი აღარაფერი მსმენია.

ფერნანდო — რად მოინდომე, ისევ შენთან რომ ემუშავა? გინდოდა, დეპრესიიდან ვეღარასოდეს გამოსულიყო?

კარლოსი — მოგზავნილი თუ მართლა ეს გგონია, მგონი, ძალიან ამლაშებ. *(ახურებს).*

ფერნანდო — ასე ტყუილად ფიქრობ. სწორედ ამნაირები არიან ყველა საქმეში გასული.

ენრიკე — ცდები, დამიჯერე.

მერსედესი — მიპასუხე: გრძნობ თუ არა ძალას, გადალახო სიძნელეები, გასაღების ახალ ბაზართან დაკავშირებით თუ წარმოიქმნება?

ენრიკე — შემიძლია. და გადავლახავ კიდეც. საქმის არსში ვერკვევი. ძველ კომპანიონებთან კავშირი მკვეთრად უნდა გავწყვიტოთ, თუმცა ეს ძვირი დაჯდება, და ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე უნდა ავიღო. ადრე ვფიქრობდით, იქაური სპეციალისტების მოსაზრებანი გაგვეთვალისწინებინა; გვეგონა, თავის ბაზარს ჩვენზე უკეთ იცნობდნენ, მაგრამ ეს შეცდომა იყო, რაც ამჟამად აშკარაა. ჩვენი პროდუქცია ხარისხიანია. ჩვენ რძის პროდუქტებს იმისგან ვაწარმოებთ... რა ჰქვია?.. ერთი სიტყვით, პრაქტიკულად კონკურენტები არ გვყავს. იმ ქვეყანაში ჩვენი ჯგუფი უნდა გავაგზავნოთ. რაც შემეხება მე, მზად ვარ, ნებისმიერი ვადით გავემგზავრო და ვაკონტროლო სამუშაოები.

კარლოსი — მერე, ბავშვები?

ენრიკე — მომენატრებიან. მხეცი ხომ არა ვარ?! ნებისმიერ შემთხვევაში, ახლა აქედან ჩემი გამგზავრება მხოლოდ სარგებელს მომიტანს.

მერსედესი — საკმარისია. მე დამარწმუნა. თანახმა ვარ, დარჩეს და მუშაობა განაგრძოს.

ფერნანდო — დარჩეს?

მერსედესი — საქმე ყველაზე უკეთ იცის. ესიც არ იყოს, თანამშრომლებს ოჯახური კინკლაობის გამო თუ ასე პანტა-პუნტით მოვიშორებთ, დანარჩენებზე დამთრგუნველად იმოქმედებს. ჩემი აზრით, უნდა დავეხმაროთ. და მხარში ამოვუდგეთ.

კარლოსი — მოსულა! დარჩეს! მეც თანახმა ვარ.

ფერნანდო — ამას ეძახით პროფესიონალურად აწონ-დაწონილ და გააზრებულ გადაწყვეტილებას. გამოშტერდება კაცი!

კარლოსი — დასახმარებლად ყოველთვის შეგვიძლია გავუგზავნოთ ჩვენი კადრი.

ფერნანდო — არ ვიცი, არ ვიცი. ასეთი ჩაფაღარათებულისათვის ძალიან ბევრი შეღავათია.

მერსედესი — ჩემი აზრით, მშვენიერი იდეაა. ვინმე გავატანოთ, საქმეში გარკვევას რომ შეძლებს, ისეთი; თუ ენრიკე ისევ აურევს,

ყოველთვის მოვასწრებთ, უკან გამოვიძახოთ. სამაგიეროდ, იქ ახალი, უკვე კარგად მომზადებული თანამშრომელი დარჩება.

კარლოსი — ეს მისთვის მშვენიერი გამოსავალია, ჩვენთვის კი — თავის დაზღვევა.

ფერნანდო — ტყუილად იხარჯებით. მე გავაგდებდი. მაგრამ თქვენ ორნი ხართ... რას იზამ?! გნებდებით. დემოკრატიაც ამას ჰქვია! ასე არ არის?

მერსედესი — გადაწყვეტილება მიღებულია. *(ენრიკეს)* არ გაგდებთ, რჩები!

ენრიკე — მართლა?

კარლოსი — დიახ.

ენრიკე — *(ხელებს გამარჯვების ნიშნად იქნევს)* ეს არც ისე ძნელი გამოდგა, როგორც მეგონა. მე უნდა მიმეღწია იმისათვის, რომ არ გაგეგდეთ. ასეთი იყო ჩემთვის პირადი დავალება.

ფერნანდო — ხედავთ, რა თავხედია?

კარლოსი — ცოლისა და გაყრის ამბავი მოიგონე?

ენრიკე — არა. მართალია.

კარლოსი — და ყველაფერი ეს სასურსათო კომპანიაში მუშაობის დროს შეგემთხვა?

ენრიკე — დიახ.

მერსედესი — მერე, როგორ მოგექცნენ? გამოგიშვეს?

ენრიკე — არა. შვებულება მომცეს. ამჟამად შვებულებაში ვარ.

ფერნანდო — ჩატით გაცნობილი მზეთუნახავის ამბავიც მართალია?

ენრიკე — ჰო და არაც! ცოტა გავბუქე. იმ ქალს ჩემგან მართლაც მხოლოდ ფული უნდოდა. მაგრამ თავს არ დამსხმია. ეს მოვიგონე. ვიფიქრე, გულს აგიჩუყებდით. გულწრფელად გეტყვით: შერჩევის აქაური სისტემა ჭეშმარიტად საოცარია. პირდაპირ, გენიალურია. ვულოცავ სისტემის ავტორებს და ქედს ვიხრი მათ წინაშე.

ფერნანდო — თავხედების ჩემპიონი რომ არის, ამის გარდა არარაობაც ყოფილა.

ენრიკე — რაო, რა თქვი?

ფერნანდო — არაფერი. ჩემთვის ჩავიბურტყუნე.

კარლოსი — სარკმლის გახსნის დროა.

ენრიკე — არა მგონია. ერთ ამერიკულ კომპანიაში საკმაოდ საინტერესო ცდა ჩაატარეს. კონკურსანტები, ჩვენსავით, დიდ დარბაზში ვითომ გასასაუბრებლად შეჰყარეს და მოულოდნელად

ხანძრის მომასწავებელი სიგნალი ჩაერთო. შემდგომ რაც მოხდა, ყველაფერი გადაიღეს და გააანალიზეს.

ფერნანდო — მაინც რას ელოდნენ? აურზაური ატყდებოდა და დარბაზიდან ყველა გამოცვივდებოდა. მეტი რა უნდა მომხდარიყო?

ენრიკე — ხანდახან ადამიანებს ოთახში დიდხანს ტოვებენ და მათ ურთიერთობას აკვირდებიან. ამბობენ, ლიდერი თავის ხასიათს ნებისმიერ სიტუაციაში ავლენს. თუნდაც განსაკუთრებული არაფერი ხდებოდეს. მაგალითად, ლიდერის მონაცემებიანი ტიპი პირველი იწყებს საუბარს, თანამოსაუბრეს პირველი წარუდგება და ა. შ.

ფერნანდო — აი, თურმე შემოსვლისთანავე რატომ გვეპრანჭებოდი. ლიდერის თვისებებს აფრქვევდი, არა? მაგრა გამოგივიდა. ვიმედოვნებ, დამკვირვებლებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას მოახდენდა შენი მახვილგონივრული შენიშვნები ქუჩაში მოძრაობის თაობაზე. მომიტევეთ, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩემი აზრით, ეს ახალთახალი მეთოდიკა წმინდა წყლის... აქ რომ არ ვიყოთ, ვიტყოდი.

ენრიკე — სწორია, გაფრთხილდი. გვისმენენ.

ფერნანდო — მით უკეთესი. ჯანდაბას, რასაც ითხოვენ, შევასრულებ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რაც ხდება იმის გამო ექსტაზში ვიყო ჩავარდნილი. იქ უკლებლივ ყველა უთავო თუ არ არის, დააფასებენ ჩემს გულწრფელობასა და გულახდილობას. გარშემო ყველაფერი ერთი წესით მუშაობს. ფსიქოლოგები, საერთოდ, ჩაუძირავი ხალხია და რაც მუდმივად ტივტივებს, იცით, რაც არის. უმსხვილესი და დიდი კომპანიების ფსიქოლოგები კი... დამსხდარან მშვენიერ კაბინეტებში და მხოლოდ იმით ერთობიან, რომ შენს პირად ცხოვრებაში იქექებიან. მტაცებელი ცხოველივით ჩასაფრებულან და მსხვერპლს მოუთმენლად ელიან. თუ ადამიანს, ღმერთმა გვაშოროს, რაღაც დაემართა, ბიჭი ალგებრაში ჩაიჭრა, ან მანქანა მოგტაცეს, ან ცოლი გაგექცა, ან სულ სხვა რამ აგიტყდა, დასახმარებლად იმ წამსვე მზად არიან, რომ ღმერთი არ გაგიწყრეს და დეპრესიაში არ ჩავარდე, რაც, რა თქმა უნდა, სამუშაო პროცესზე უარყოფითად იმოქმედებს. დაგიწყებენ დაკითხვას, ტვინს გაგიბურღავენ, დაგტანჯავენ, ვიდრე თავისას არ მიაღწევენ და არ გათქმევინებენ ყველაფერს, რაც სულში გვაქვს. იმ პარაზიტებსაც ეს უნდათ; მაშინვე მოგახლიან: ხომ

ხედავ, რა ნეხვი ყოფილხარო და აი, მაშინ დეპრესია ნამდვილად არ აგცდება. ისინიც გაიხარებენ, ხომ ხედავ, რა სწორი დიაგნოზი დაგისვითო. ხომ ასეა?

ენრიკე — რას ჩამაცივდი? მე რა ვიცი?

ფერნანდო — აქაურ საქმეებში ისე ხარ გარკვეული, მეგონა, ესეც გეცოდინებოდა.

ენრიკე — გეტყობა, ფსიქოლოგებთან უარყოფითი შეხება გქონდა.

ფერნანდო — შენ რა, იცნობ, ვისაც დადებითი შედეგი აქვს?

კარლოსი — *(ფერნანდოს)* იმიტომ ნერვიულობ, ორი დავალება რომ ჩააფლავე.

ფერნანდო — ჩვენ შორის ვინ ჩაფლავდა, ეს კიდევ საკითხავია. საბოლოოდ, ამას აიყვანენ. თქვენ ორნი კი ყურებჩამოყრილი დარჩებით.

ენრიკე — მე ამიყვანენ? ჩემზე ახლახანს არა თქვი, შემოგზავნლიაო?

ფერნანდო — უკვე აღარ ვიცი, რა ვთქვი და რას ვამბობ.

სარკმელი გაიღო.

მერსედესი — ოჰო!

ენრიკე — *(სარკმელთან მივა — უკვირს)* ეს რაღაა? *(ყუთიდან ამოაქვს ოთხი თავსაბურავი: ტორეროს ქუდი, ჯამბაზის ჩაჩი, ცილინდრი და ეპისკოპოსის მიტრა. მერე ამოიღებს კონვერტს და ზედდაწერილს კითხულობს)* „ყველამ დაიხურეთ თავსაბურავი და კონვერტი მერე გახსენით“.

ფერნანდო — ჩვენ უნდა დავიხუროთ?

ენრიკე — მე რას მიყურებ?

ფერნანდო — რა ხდება?

კარლოსი — რატომ უნდა დავიხუროთ?

ენრიკე — პასუხი კონვერტშია. მაგრამ ჯერ ქუდები უნდა მოვირგოთ.

მერსედესი — ჩვენ თვითონ ვირჩევთ?

ენრიკე — როგორც ჩანს.

ფერნანდო — სიურეალიზმია და მეტი არაფერი. სუფთა სიურია.

ენრიკე — საქმეს მივხედოთ.

ენრიკე ცილინდრს იხურავს; მერსედესი — ჯამბაზის ჩაჩს, კარლოსი ტორეროს ქუდს. ფერნანდოს ეპისკოპოსის მიტრა დარჩება და უკმაყოფილოდ ჩამოიფხატავს. ყველანი დაბნეულნი არიან და ერთმანეთს მიშტერებიან.

ფერნანდო – ერთ რამეს გთხოვთ და გემუდარებით შემისრულეთ. თუ კი ოდესმე ამ კედლებს მიღმა შევხვდებით, ისე მოვიქცეთ, ვითომ ეს ყველაფერი არასოდეს მომხდარა.

ენრიკე – ვკითხულობ. *(კონვერტს ხსნის და თავისთვის კითხულობს)* გადასარევია. მსგავსი რამ ოდესღაც მითამაშია.

ფერნანდო – სული ნუ ამოგვხადე!

ენრიკე – „თქვენ ცეცხლმოდებული თვითმფრინავის ერთადერთი მგზავრები ხართ. ჯამბაზი, ტორეადორი, ეპისკოპოსი და პოლიტიკოსი. თვითმფრინავში მხოლოდ ერთი პარაშუტია. ყოველი თქვენგანი უნდა ეცადოს, დანარჩენებს დაუმტკიცოს, რომ მაინცდამაინც ის იმსახურებს პარაშუტით ისარგებლოს და გადარჩეს“. მშვენიერია. ერთ-ერთ გასაუბრებაზე მქონდა მსგავსი დავალება.

კარლოსი – იმ ანეკდოტს არა ჰგავს, ფრანგი, გერმანელი და ესპანელი რომ...

ენრიკე – მაშინ ჩვენ თამაშის წამყვანი გვყავდა. ვითომ საჰაერო ბუშტში ვისხედით. პერსონაჟები, რასაკვირველია, სხვა ხელობისა იყვნენ. ჰაერბურთი სიმაღლეს უსწრაფესად კარგავდა, ბალასტი აღარ დარჩა. ერთი ჩვენგანი უნდა გადამხტარიყო – ყველაზე უსარგებლო. ჩვენ კი უნდა გადაგვეწყვიტა, ასეთი რომელია. ფრიად ვიხალისეთ. მე მეხანძრე ვიყავი.

ფერნანდო – ბოდიშს გიხდი, რომ გაწყვეტინებ, მაგრამ ერთი ტექნიკური შეკითხვა გამიჩნდა: თუ ყველანი თვითმფრინავში ვართ, რომელი ჩვენგანი უზის საჭეს? პილოტი თუ ჯამბაზია, მაშინ დავალებას რაღა აზრი აქვს?

მერსედესი – *(ხუმრობა არ მოეწონა)* რამდენი ვიცინეთ... ხა-ხა-ხა!

ენრიკე – უნდა გადაწყდეს, ცოცხლად დარჩენას რომელი ვიმსახურებთ. საზოგადოებისათვის ვინ უფრო საჭიროა.

კარლოსი – დავღუპულვარ და ეგ არის.

ფერნანდო – არ მინდა განწყობა შეგიმღვრიოთ, მაგრამ დაფიქრდით. ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი კომპანიის ერთ-ერთი წამყვანი თანამდებობის მაძიებლები ვართ. ერთი, შეხედეთ, თუ ღმერთი გწამთ, ერთმანეთს.

ენრიკე – აჰა, შევხედეთ. მერე?

ფერნანდო – არაფერი, არაფერი, სულ არაფერი. ეტყობა, მე მემართება რაღაც. განაგრძეთ.

კარლოსი — რა ვქნათ? ყველამ თავისი აზრი გამოთქვას და შემდეგ ვიმსჯელოთ.

ენრიკე — ეგრე იყოს. თანახმანი ხართ?

მერსედესი — ერთი წინადადება მაქვს. თუ ნებას მომცემთ, მოგახსენებთ. ჩვენ შორის ეპისკოპოსი ბრძანდება. ღმერთის მიერ ხელდასხმული ადამიანი. მას სწამს იმქვეყნიური ცხოვრებისა, აფასებს გულმოწყალეობას და მხოლოდ მოყვასის კეთილდღეობაზე ფიქრობს. ვთავაზობ, თავი გასწიროს და პარაშუტზე თავისი ნებით თქვას უარი. აი, ეს იქნება ჭეშმარიტად ქრისტიანული საქციელი.

ფერნანდო — რაებსა ჩმახავ? ვერ ეღირსებით, ათასი ქრისტეც რომ მწამდეს.

მერსედესი — ვიხუმრე... ვიხუმრე!

ფერნანდო — იხუმრა... თუმცა შენ ხომ ჯამბაზი ხარ?!

ენრიკე — ვინ დაიწყებს?

კარლოსი — კენჭი ვყაროთ.

მერსედესი — თუ გნებავთ, მე დავიწყებ.

ენრიკე — მიდი.

მერსედესი — არცერთი თქვენგანის მნიშვნელობა არა მსურს დავაკნინო. პოლიტიკოსი ხალხის კეთილდღეობისათვის შრომობს. სამღვდელო პირი იმავე ხალხის ანუ მრევლის სულიერებაზე ზრუნავს. ტორეადორი... ტორეადორი კი...

კარლოსი — მე არტისტი ვარ.

მერსედესი — ეგრე იყოს. რა მნიშვნელობა აქვს? მთავარი კი ის არის, რომ მე, ჯამბაზი, ყველაზე კეთილშობილურ და სასარგებლო საქმეს ვემსახურები. მე ადამიანებს ვაცინებ.

ფერნანდო — დიდი ამბავი! პოლიტიკოსებიც მაგას არ აკეთებენ?

მერსედესი — წარმოიდგინეთ, როგორი ბედნიერია მოცინარი ბავშვი და ეს ჩემი დამსახურებაა. ბავშვის ღიმილზე მნიშვნელოვანი რა უნდა იყოს?

ფერნანდო — ცრემლები მახრჩობს...

ენრიკე — ეგრეა, ეგრე. არ ვამბობ, უმნიშვნელო საქმეა-მეთქი! მინდა მხოლოდ აღვნიშნო, ბავშვის ღიმილს ღირსეული მატერიალური უზრუნველყოფა უნდა ახლდეს. საჭიროა კარგი სკოლა, სადაც ისწავლის; კარგი საავადმყოფო, თუ დაავადდა. საჭიროა იმავე ბავშვის მომავალზე ზრუნვა. უნდა იცინონ ბავშვებმა, რა თქმა უნდა, მაგრამ ამისათვის საჭიროა საზოგადოების ზრუნვით

იყვნენ გარემოცულნი. საზოგადოების ფრთებქვეშ ნებივრობდნენ ისევე, როგორც მათი მშობლები...

ფერნანდო — ნუ აჭიანურებ, თვითმფრინავი ეცემა!

ენრიკე — ვიცი, ჩვენს დროში პოლიტიკოსების ავტორიტეტი არც თუ ისე მაღალია. მაგრამ მიუხედავად ამისა, უჩვენოდ, უჩემოდ! — ჯამბაზს საშუალება აღარ ექნება აცინოს ბავშვები, ტორეადორი არენაზე ვეღარ იბრწყინებს, მღვდელმსახურსაც შეუმცირდება მრევლი, რადგანაც სულის გადარჩენაზე ზრუნვა მხოლოდ მაძღრებს შეუძლიათ. ასე რომ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, უპირველესად, სწორედ მე, პოლიტიკოსი, უნდა გადავრჩე.

კარლოსი — ჩემი ჯერია, ხომ? ტორეადორი გახლავართ. ალბათ, იფიქრეთ, ერთი ტორეადორით მეტი იქნება თუ ნაკლები, რა ბედენააო?! მაგრამ, ნურას უკაცრავად, შეცდით! ყოველდღე სიკვდილს ვეთამაშები. თქვენ ხომ ხარის პირისპირ არასოდეს მდგარხართ. ვერც წარმოიდგენთ, რა საშინელებაა. ეს მხოლოდ მე ვიცი. როცა არენაზე ვარ, დედაჩემი ლოცულობს, ცოლი ლოცულობს, შვილებიც ლოცულობენ... ვისთვის ლოცულობენო, იკითხავთ? ვისთვის და ტორეადორისთვის. გარსია ლორკას ლექსები გაიხსენეთ. *(ვერ იხსენებს... კილოს შეიცვლის)* ფრიად წამგებიანი როლი მერგო. აღარაფერი მაფიქრდება. რას იზამ? ესა ვარ, რაცა ვარ... ისღა დამრჩენია, ჭეშმარიტი ტორეადორივით მოვიქცე: ერთი სიტყვით, შეიკვეხეთ ეგ თქვენი პარაშუტი. მე სიკვდილისა არ მეშინია.

ფერნანდო — ოლე!

ენრიკე — მიდი, შენი ჯერია.

ფერნანდო — ვიცი. *(ბოლთასა სცემს. სიტყვის სათქმელად ემზადება)* დებო და ძმებო! აქ იმისათვის შევიკრიბეთ... სულ ცოტა ხნის წინ, უმსხვილეს კომპანია „დეკიაში“ უმაღლესი თანამდებობის მოსაპოვებელ გასაუბრებაზე რომ მოვისწრაფოდი იმ იმედით, გავიმარჯვებ-მეთქი, როგორ ვიფიქრებდი, რომ აი, ასე ვიდგებოდი თქვენს წინაშე?! რას წარმოვიდგენდი, რომ ცეცხლმოდებულ თვითმფრინავში აღმოვჩნდებოდი და ეპისკოპოსად ვიქცეოდი!.. მაგრამ განგება ზოგჯერ გვიგებს ხოლმე ამგვარ სიურპრიზებს. ღვთის ნება კი, როგორც იცით... *(ისმის მობილურის ზარი)* საკვირველნი არიან საქმენი შენნი, უფალო...

მერსედესი — მაპატიეთ, ერთ მნიშვნელოვან ზარს ველოდები...

ფერნანდო — არა უშავს... არა უშავს.

მერსედესი — *(მობილურს ყურთან მიიტანს და დარბაზის კუთხეში მიდგება)* ლაურა ხარ? გისმენ, გისმენ! რაო? ეშმაკმა...

ფერნანდო — დავუცადო, ვიდრე დაამთავრებს?

მერსედესი — როდის? როგორ არის? ექიმმა რა თქვა? მოვალ, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ წუთას შეკრებაზე ვარ. *(უფრო ხმამაღლა ალაპარაკდა. ყველას ესმის, რასაც ლაპარაკობს)* თვითონ არ მითხარი, მძიმე მდგომარეობა არ არისო?! თუ ღმერთი გწამს, დამიზუსტე. მძიმეა თუ არა. ვიცი, მძიმე რაც არის... საავადმყოფოში ასჯერ მაინც დაგვიწვენია. რაღა დღევანდელ დღეს დაემთხვა. რა უფლება გაქვს, ასე მელაპარაკო! ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროდ მივიჩნევ. დიახ, როგორც ყოველთვის! ჭკუა სხვებს დაარიგე, ამას ვერ მოგითმენ. ასე რომ, გეყო, გეყოფა-მეთქი! მოვალ, მოვალ... მოვალ! როგორც კი შევძლებ, გამოვიქცევი. კარგი. ნახვამდის! *(ტელეფონი გათიშა და შეინახა)*

კარლოსი — რაიმე მოხდა?

მერსედესი — არა, არაფერია. ხომ არ უთქვამთ, ეს ყველაფერი რომელ საათზე მორჩება?

ენრიკე — არა.

მერსედესი — განვაგრძოთ.

ენრიკე — *(ფერნანდოს)* გისმენთ.

ფერნანდო — მოკლედ მოვჭრი. ყურადღებით მისმინეთ. გავითვალისწინე რა შექმნილი სიტუაცია, აუცილებლად ჩავთვალე, გადავიდე ძალისმიერ მოქმედებაზე. ახლა ავდგები და ძალიან მშვიდად, დაიხსომეთ, უმშვიდესად ავიღებ პარაშუტს, დავიმაგრებ და გადავხტები. თუ რომელიმე თქვენგანი შეეცდება ხელი შემიშალოს, ჩემზე ადრე დატოვებს თვითმფრინავს, ოღონდ, რა თქმა უნდა, უპარაშუტოდ.

ენრიკე — ეგრე არ გამოვა. ამას სერიოზულად ამბობ?

ფერნანდო — ძალიან, ძალიან სერიოზულად! წმინდა ეკლესიას ნუ წინაღუდგები! ის უფრო ძლიერია, ვიდრე გგონიათ. ძალადობას ნუ მაიძულებთ. თუ ადგილებზე წყნარად ისხდებით, შანსი გაგიჩნდებათ. შეგიძლიათ, ცეცხლმაქრები გამოიყენოთ და ხანძარი ჩააქროთ. ეს ჯამბაზი კი ისევ მიუსვით საჭეს. იცოდეთ, რაც უნდა მოხდეს, არ იპანიკოთ: როგორც პროფესიონალი, მარადი სიცოცხლის გარანტიას გპირდებით. აი, სულ ეს არის, რაც მინდოდა მეთქვა. აბა, წავედი. მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

კარლოსი — კი, მაგრამ...

ენრიკე — მთელი თამაში ჩაშალე. ასე არ შეიძლება.

ფერნანდო — *(ხმა თანდათან იკლავს)* ძალიან ვწუხვარ. თქვენთან აღარა ვარ. მივ-ფრი-ნავ!

ენრიკე — ყველა გაგვაცურა! თამაშის წესები დაარღვიე. ეგრე, ძმაო...

ფერნანდო მხრებს იჩეჩავს.

მერსედესი საიდუმლო სარკმელთან მიდი — მოდის.

კარლოსი — ახლა როგორ მოვიქცეთ?

ენრიკე — არ ვიცი. *(მერსედესთან მივა)* შენსკენ რაღაც მოხდა, ხომ? გავიგონე...

მერსედესი — დედაჩემი ცუდად გამხდარა. საშიში არაფერია.

ენრიკე — თუ რაიმე სერიოზულია, ვიმედოვნებ, აქ ყველა გაგიგებს.

მერსედესი — სერიოზული არაფერია. ადრეც ბევრჯერ მიგვიყვანია საავადმყოფოში. ჩვენებს მოგვიანებით დავურეკავ.

სარკმელი იღება.

კარლოსი — ოჰო! *(კონვერტს ამოიღებს)* ზემოდან არაფერი აწერია. ვხსნი. *(ბარათს ამოიღებს და ჩათვალიერებს)* ეშმაკსაც წაულიხარ! ეს უკვე... ასე რა უფლებით...

მერსედესი — რა სწერია?

კარლოსი — რაღაც სულელური თამაშები ერთია და სულში ხელის ფათური...

ფერნანდო — რაო? იმღერეთო? თუ პა-დე-დე იცეკვეთო?

კარლოსი — არც გეტყვით და არც წავიკითხავ.

ფერნანდო — ეგ როგორ?

კარლოსი — რაც აქ სწერია, არავის არ ეხება. არც — თქვენ, არც — ამ... საიდან გაიგეს?! უხ, შენი...

ენრიკე — კარგი, შენ უარს ამბობ... დანარჩენები როგორ მოვიქცეთ?

კარლოსი — აქ მხოლოდ ჩემზე და ჩემი პირადი ცხოვრების წვრილმანებზეა საუბარი. თქვენ რა შუაში ხართ? ეს არც თქვენ გეხებათ და, მითუმეტეს, არც საქმეს.

ფერნანდო — როგორ შეიძლება?!

კარლოსი — ეს იმათ უთხარი. ადამიანს ასე არ უნდა მოექცე.

ფერნანდო — ეს ხომ მხოლოდ თამაშია. თუ არ გევასება, წადი. ასე არ გვითხრეს?

კარლოსი — ტესტები სულ სხვა რამეა... ესენი კი პირდაპირ

პირადულში ხტებიან, თანაც ისეთ ინტიმურში, რაც არავინ არ უნდა გაიგოს.

ენრიკე – მეც ეგრე არ მომექცნენ? ჩემი პირადი ცხოვრება ყველას დასანახად გამოფინეს. მაგრამ ხომ დაინახე, მოვითმინე. თუ ვეღარ ითმენ ან როგორც თავში გვიბრძანეს, დავალების შესრულება შენთვის მიუღებელია, შეგიძლია, მიბრძანდე!

კარლოსი – მაგრამ... ამის... ამათი... ეს ბოზები, ესენი! ჩემი სულ სხვა შემთხვევაა!

ფერნანდო – ეი, ბიჭო! ან წაიკითხე და დარჩი, ან ნუ წაიკითხავ და მოუსვი.

(კარლოსი მერყეობს) ეს შლიაპა, ალბათ, უკვე შეგვიძლია მოვიხადოთ...

თავსაბურს ყველა იხდის, ჩაფიქრებული კარლოსის გარდა.

მერსედესი –კარლოს! კარლოს!

კარლოსი – რა იყო?

მერსედესი – ქუდი მოიხადე, *(კარლოსი ქუდს იხდის)* გაინძერი. მთელი დღე აქ ხომ არ ვიყურყუტებთ.

კარლოსი – ისე... დასამალი არაფერია. არც – სამარცხვინო. ბოლოსდაბოლოს, სიმართლეს ყველა გაიგებს. *(კითხულობს)* „კარლოს ბუენო იტარებს ჰორმონალურ მოსამზადებელ მკურნალობას სქესის შესაცვლელი ოპერაციის წინ. თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, გამოადგება თუ არა კომპანიას ასეთი თანამშრომელი. თუ თქვენი პასუხი უარყოფითი იქნება, კარლოს ბუენო კანდიდატურების სიიდან ამოიშლება“.

(სარკმელთან მივა, წერილს შეავდებს. სარკმელი იხურება)

მერსედესი – კარლოს...

კარლოსი – რა გნებავს?

მერსედესი – არაფერი... რაც წაგვიკითხე, ცოტა...

კარლოსი – მოულოდნელი იყო?

მერსედესი – ეს არ შეიძლება...

კარლოსი – შეიძლება, შეიძლება. ასეც არის.

მერსედესი – სქესის შეცვლა გინდა?

კარლოსი – ჰო.

მერსედესი – *(სიცილი წასკდა)* მაპატიე, მაგრამ...

ფერნანდო – უხ, შენი... ეს ხომ... ენა ჩამივარდა, ეს უიშვიათესად მემართება, მაგრამ ამ წუთას, გულწრფელად ვაღიარებ: ენა ჩამივარდა!

კარლოსი — ერთადერთი, რასაც ვერ მივმხვდარვარ, ის არის — ამათ როგორ გაიგეს? საოცარია!

მერსედესი — გვაბოლებ, არა?

კარლოსი — არა.

ენრიკე — არა?

კარლოსი — არა. რამდენიმე თვის წინ საბოლოოდ გადავწყვიტე. უკვე ორი კვირაა ჰორმონებს ვყლაპავ.

მერსედესი — კი, მაგრამ, კარლოს...

ფერნანდო — მაცადეთ. თუ სწორად გავიგე, ერთ კვირაში შენ ძუძუკები ამოგეწვეტება, იადონივით უნაზესი და მომაჯადოებლად წვრილი ხმით დაიწყებ ჭიკჭიკს და ყოველივე ამის გვირგვინად, ჭუჭუსაც მოგკვეთავენ?

კარლოსი — მთლად ზუსტად არა, მაგრამ დაახლოებით ეგრეა. ოპერაციის მერე ქალად ვიქცევი, თუმცა, არსებითად ახლაც ქალი ვარ.

ფერნანდო — და გამოსა... შტერებლად ოსტატურად ინიღბები. *(მერსედესს)* შენ იბრძოდი, არა, ქალებისთვის ორმოცდაათი პროცენტის მოსაპოვებლად? ა, ბატონო, მიზანს უომრად მიაღწიე!

კარლოსი — ნულარ იხუმრებ, გთხოვ.

მერსედესი — კარლოს...

ფერნანდო — ამის დედა ვატირე, რა დამპალი არსებაა ადამიანი! *(კარლოსს)* ამას მაინცდამაინც შენს გასაგონად არ ვამბობ. ამქვეყნად რა არა ხდება?! ახლა კარგად მესმის, ახალი თანამდებობა რად გჭირდება. პირველი მაქმანიანი ულამაზესი ტრუსების ან ბიკინის ყიდვასაც ვერ მოასწრებ, ისე სწრაფად გისვრიან „რავენტალიდან“. იქ ხომ ყველა ბნელეთის მოციქულია, ოპუს დეისა არ იყოს! თუმცა ორივეგან იჩემებენ, ღვთის გზას მივდევთო.

კარლოსი — ჰო და, მეც სამუშაოს ვეძებ.

ენრიკე — აქ ამათთვის ხომ არაფერი გითქვამს?

კარლოსი — რა უნდა მეთქვა?

ფერნანდო — მართლაც და რატომ უნდა ეთქვა? ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. სამუშაო პროცესზე გავლენას არ ახდენს. „დეკია“ მარკეტინგის განყოფილების უფროსს, ანუ კარლოსს უდებს ხელშეკრულებას. ერთი-ორი თვის შემდეგ კი ოპა! კარლოსი კარლოტად იქცევა. რა მოხდა მერე! არც მე

ვეტყვი, კრიშნაიდი რომ ვარ. მერე კი... უცებ ნარინჯისფერი ზეწრით დამშვენებული გამოვცხადდები სამსახურში და თანაც „ჰარი რამას“ ვიგალობებ.

კარლოსი — ამით რა გინდა სთქვა?

ფერნანდო — არაფერი. ვისი რა საქმეა! ნორმალური საქციელია.

ენრიკე — ეშმაკსაც... ჩვენში დარჩეს და ეს ყველაფერი ცოტა... როგორ გითხრათ? ვერ მომიფიქრებია... ასე ხომ... ხომ შეიძლება, უბრალოდ... ელდისაგან ჩაისვაროს კაცმა?!

კარლოსი — არაფრის დამალვას არ ვაპირებ! თუ ამიყვანენ, მაშინვე ვეტყვი. არ მინდოდა, ამას შერჩევის პროცესზე ემოქმედა.

ფერნანდო — გასაგებია! შტატში აგიყვანენ, შენ კი იმ წამს — ბაც! — სიურპრიზს შეაგებებ. მერე თავიდან ვეღარ მოგიშორებენ, თუნდაც სასამართლოები აატალახონ!

კარლოსი — კარგი, ერთი...

ფერნანდო — ახლანდელ პოლიტკორექტულობასა და თქვენის-თანებისადმი უაზრო ცერემონიებს თუ გავითვალისწინებთ, ამ საქმეზე, შესაძლოა, ხელიც მოითბო.

კარლოსი — გეტყობა, კინოში ხშირად დადიხარ.

მერსედესი — კარლოს!

კარლოსი — რა იყო?

მერსედესი — ყურებს ვერ ვუჯერებ. კურსებზე ხომ თითქმის ყველა ქალს ჩამოუარე?

კარლოსი — რადგანაც არ მინდოდა, ჩემი თავი ისეთად მეღიარებინა, როგორიც ვარ.

ფერნანდო — გამოვშტერდი. ყვაწვილებო, თქვენ ამ ქვეყანაში კი არა, არგენტინულ სერიალში ცხოვრობთ. ერთი ინტერნეტით გაძარცვეს, მეორე ჰორმონებით იჭყიპება.

მერსედესი — კარლოს, თუ ღმერთი გწამს, მითხარი, რომ ცრუობ. ეს არ შეიძლება მოხდეს. მე და შენ ხომ მაშინ... გახსოვს?

კარლოსი — ძალიან კარგად, მერე?

მერსედესი — მერე ის, რომ შენს სექსუალურ ორიენტაციაში არავითარი გადახრა არ შემინიშნავს. და... საერთოდ... მინდა, გითხრა, რომ ყველაფერი ძალიან... ძალიანაც ნორმალურად... ნორმალურად კი არა... ბევრად უკეთესი იყო.

კარლოსი — ვცდილობდი, პრობლემა... დამევიწყებინა.

ფერნანდო — ერთი წუთით! მაპატიეთ, გაწყვეტინებთ, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია. არ მინდა, უზრდელად მოგეჩვენოთ, მაგრამ...

ყური დამიგდე, შე... როგორ მოგმართო? კარლოს თუ?..

კარლოსი – შეგიძლია, კარლოსი დამიძახო.

ფერნანდო – კარლოს, ძვირფასო, არ შეიძლება ასეთი სერიოზული პრეტენზია გქონდეს ფრიად მაღალ თანამდებობაზე და, ამავდროულად, ტრანსვესტიტი იყო. ეს ხომ გაუგონარი სიშტერეა.

კარლოსი – მე ტრანსვესტიტი არა ვარ.

ფერნანდო – მიმიფურთხებია, ვინც გინდა, ის იყავი, შე ტრაკო! ახლა შეგიძლიათ, იფიქროთ, რომ შემოგზავნილი ვარ, მაგრამ ამათ ნაცვლად მართლა რომ ვიყო, თავს მოვიკლავდი.

ენრიკე – ზუსტად ამას გვთხოვენ, რომ სხვათა ჩანაცვლება ვისწავლოთ.

ფერნანდო – გმადლობ! ყელამდე ვარ თქვენი პატივისცემით. მთელი გულითა და სულით მადლობას ვწირავ პერსონალის შერჩევის სისტემას, რომელმაც დაამტკიცა თავისი ეფექტურობა და წინასწარ გამოააშკარავა ყველაფერი, რასაც შეეძლო გამოუსწორებელი ზარალი მიეყენებინა კომპანიისთვის.

კარლოსი – ზარალი ვის უნდა მიეყენებინა?

ფერნანდო – შენ, ჩემო მტრედო, შენ!

კარლოსი – სამუშაოზე მიღების შესახებ განცხადებაში სქესის გამო არავითარი შეზღუდვა არ ყოფილა.

ფერნანდო – აბა, რა გინდოდა დაეწერათ: ,,გვჭირდება მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელი. ტრანსვესტიტებს ვთხოვთ, ნუ გამოგვეხმაურებიან.

კარლოსი – ტრანსვესტიტს ნუ მეძახი!

ფერნანდო – რას გვიბრძანებ, როგორ მოგმართოთ?

კარლოსი – უკიდურეს შემთხვევაში, ტრანსსექსუალი დამიძახე. ისე კი, აჯობებს, იარლიყებს შეეშვა.

ფერნანდო – იცი, რას გეტყვი? თუ გსურს, ინდაურად გადაკეთდი! ფეხებზე არა მკიდია?! მაგრამ პრეტენზია გქონდეს საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე და დამალო ის, რაც შენ დაგვიმალე – თავი ძალიან რომ შევიკავო – ღორობაა და მეტი არაფერი. შენი საქმეა, გინდა ტრანსვესტიტი იყავი, გინდა – ტრანსსექსუალი, გინდა – ტრანსატლანტიკური ლაინერი! მაგრამ, ამავდროულად, საპასუხისმგებლო თანამდებობაზეც იმუშაო?? ადამიანმა თუ არ იცის, ქალია თუ კაცი, ესე იგი, თავში ისა აქვს... რა ჰქვია? ბორდელიერო! მაგრამ შენთვის ეს არაფერს ნიშნავს. ამას

ყველაფერს შენივე ჰორმონები შეასხურე და ახლა ის მცირეოდენი ნაოჭები, ასეთები შენს ტვინს თუ შერჩა მაგ გამოთაყვანებულ გოგრაში, ბრეიკ დანსს ურახუნებენ. ენდე ჩემს კეთილ რჩევას, წყლით გაიჭყიპე, რადგანაც ნამდვილი ჩაიდანი ხარ.

კარლოსი – გგონია, მაგრა იხუმრე, არა? კიდევ ერთხელ, მაგრამ საბოლოოდ გეუბნებით, მიმიფურთხებია, რაც უნდათ, ის იფიქრონ. შენ კი თუ ერთხელ კიდევ ამყრალდები, ისეთ დღეს დაგაყრი, თვალების მაგივრად ტრაკიდან იხედებოდე. შე დამპალო!

ფერნანდო – ო, რა ქალური, რა ნაზი გამოთქმებია?!

კარლოსი – ეს, მგონი, შემომაკვდება! *(ფერნანდოსთან მიიჭრა, ხელი კრა)*

მერსედესი – *(შუაში ჩაუდგება)* რას შვრებით? რას კადრულობთ?!

კარლოსი – თუ კიდევ რამეს გამიბედავ, ისე მიგბეგვავ, საკუთარი თავი ვერ იცნო.

ენრიკე – დამშვიდდით.

ფერნანდო – ააფრინე?

კარლოსი – ფრენაზე გამახსენდა. აი, იმ ფანჯარას ხომ ხედავ? იქიდან გაგაფრენ, თუ არ გაჩუმდები.

მერსედესი – დაწყნარდით, თუ შეიძლება...

კარლოსი – ყველაფერს ხომ ვერ მოითმენს კაცი...

ფერნანდო – ვინაო? ვინ ვერ მოითმენსო?

კარლოსი – უხ, შენი...

მერსედესი – ძალიან გთხოვ, დამშვიდდი, დაწყნარდი.

კარლოსი – კარგი, კარგი... მოვრჩეთ.

ენრიკე – *(კარლოსთან მივა. საღეჭი რეზინის კოლოფს ამოიღებს)* ხომ არ გინდა? მენთოლისაა.

ფერნანდო – *(კარლოსს)* გეგონა, მიგბეგვავდი? ასე აღმზარდეს: ქალებს არ ვურტყამ.

მერსედესი – გეყო, გეყოფათ.

ფერნანდო – კარგი. მოდი, ვცადოთ, ეგებ, გავერკვეთ. წინა კანდიდატი რომ დატოვეთ, ეს რაღაცით მაინც აიხსნება; ხომ მართალია, კარლოტა? მაგრამ ახლა აღარაფერი გამოგივათ.

კარლოსი – ეგრე?

ფერნანდო – აბა, რა! დაგეგმილი ოპერაციები მთავარი არ გეგონოს. იმ ტიპს, რომელიც ასე იოლად ავარდება და

მუშტიკრივზე გადადის, ორი ბატის უფროსობის იმედიც კი არ უნდა ჰქონდეს.

კარლოსი — იმას კი, ვისაც ყველა და ყველაფერი ეზიზღება და მათზე საქმის ცოდნის მიხედვით კი არა, საკუთარი ცრურწმენით მსჯელობს, საერთოდ, არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

ფერნანდო — კარლოს, ხანდახან ისეთი რამ წამოგცდება ხოლმე... ეს სიბრძნე სად ისწავლე? პედერასტებისა და ლესბოსელების ასოციაციაში?

მერსედესი — გეყოფა! ნუ გაგვაგიჟე!

ფერნანდო — სამარე ვარ.

ენრიკე — ეს შემთხვევა ჩემსაზე რთულია.

ფერნანდო — მართალია. მაგრამ მე თუ მკითხავთ, შენა და იმ შენ ინტერნეტელ გოგონას უფრო მოგიხდებოდათ სქესის გაცვლა. ჩუმად ვარ. ხმას აღარ ამოვიღებ.

ენრიკე — კარლოსის შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ სქესის შეცვლაზეა აქცენტი. ამას მის პროფესიონალიზმთან არავითარი შეხება არ აქვს.

მერსედესი — აბა, რა გითხრათ?! ამაზე მსჯელობა ძალიან მიმძიმს.

ენრიკე — მაგრამ მაინც მოგიწევს.

მერსედესი — კარლოსი ჩემი მეგობარია. ძალიან ვაფასებ, მაგრამ...

ფერნანდო — მაგრამ...

მერსედესი — ძალიან მეძნელება, დავიჯერო, რომ...

ენრიკე — რას იზამ. დავალება დავალებაა. ოღონდ საქმის თავისებურებანი უნდა გაითვალისწინო. ოპერაციის შემდეგ შენ, ალბათ, დიდხანს ბიულეტენზე იჯდები.

კარლოსი — არც ისე დიდხანს.

ფერნანდო — ბიულეტენი რა ბედენაა! უბედურება მერე მოხდება, ბიულეტენის შემდეგ ეს ჩვენი ლამაზმანი სამსახურში რომ გამოცხადდება. მდივანი ქალი ამას ახალთახალ ლამაზ მოდურ კაბაში გამოპრანჭულსა და მაღალ ქუსლებზე შემდგარს რომ დაინახავს, ბრახ! დაიშოკება და ფეხებს გაჭიმავს. უბედურება მაშინ ნახეთ.

მერსედესი — ფერნანდო, შენ, საერთოდ, სერიოზული ლაპარაკი შეგიძლია?

ფერნანდო – სერიოზულად ამაზე როგორ ვილაპარაკო? ცხოვრება კი არა, ყვითელზე ყვითელი ბულვარული საკითხავია.

ენრიკე – მართალი ხარ, ყველაფერი ეს ადვილად გადასახარში არ არის. მოგვატყუა. იცრუა! მხოლოდ ახლა მივხვდი. *(კარლოსს)* შენი ამოცანაა დაგვაჯერო, ოპერაციას რომ იკეთებ. დავალებაც შერჩევით წაგვიკითხე, როგორც შენთვის ხელსაყრელი იყო, სარკმელში შეაგდე და სარკმელიც დაიხურა. იქ კი ეწერა, რომ შენ უნდა დაგვარწმუნო სქესის შეცვლის აუცილებლობაში.

კარლოსი – ყველაფერს ნუ ართულებ. ხრიკები არ მიყვარს, ისეთი ვარ, როგორსაც მხედავთ. ვაპირებდი, ეს კიდევ რამდენიმე თვე არ გამემხილა, მაგრამ ამათ გაიგეს. ახლა რაღა უნდა ვქნა?

ენრიკე – როგორ გაიგებდნენ, შენ თუ არ უთხარი?

კარლოსი – მეც ეგ მიკვირს. ალბათ, ჩემს მეგობრებს გაესაუბრნენ და რომელიმეს წამოცდა. ვმალავდი, მაგრამ ჩემმა ერთი-ორმა მეგობარმა იცის.

ენრიკე – არა, ზუსტად მოვარტყი. მშვენიერი, კლასიკური შემოწმება ჩავატარე. ჩვენ რომ მოვტყუებულიყავით, გვეჭამა და შენგან ეს ისტორია გვეყიდა, მსოფლიოში პირველი გადამყიდველი იქნებოდი.

კარლოსი – გეფიცებით, არა ვცრუობ.

მერსედესი – მეც ასე მგონია, ენრიკე მიხვდა. გაგვათამაშე! აღარ ვიცი, ჩემი ჯერი რომ დადგება, რა მოხდება... ეგებ, მომიხდეს დაგარწმუნოთ, რომ ქალწული, უცოდველი მონაზონი ვარ ან... უცხოპლანეტელი.

კარლოსი – *(პორტფელს აიღებს და იქექება)* აი, აქა მაქვს ყველა რეცეპტი და ექიმის ტელეფონის ნომერიც. თუ გნებავთ – დაურეკეთ.

ენრიკე – ეგ ყველაფერი წინასწარ შეგეძლო ჩაგეყარა.

კარლოსი – რატომ? საიდან უნდა მცოდნოდა, ამაზე თუ ვიმსჯელებდით? რეცეპტი თან იმიტომ დამაქვს, რომ მჭირდება.

ენრიკე – ეგებ, გამოგიძახეს, წინასწარ შეგითანხმდნენ, მეთოდი გაგაცნეს და უტყუარი მტკიცებულებებით გაგავსეს.

კარლოსი – ეი, გამოფხიზლდი. ჩვენ ახლა კასტელიანზე ვართ, ოფისში და არა აგატა კრისტის რომანში.

ფერნანდო – მართალია, რას ერჩი? მაგარი აბდაუბდა დაგვახალა, მაგრამ სწორედ ამიტომ მგონია, რომ არ სტყუის.

მერსედესი – რა იცი?

ფერნანდო — ის წაიკითხა, რაც ეწერა. კონვერტზე არაფერი ეწერა, სრული შემთხვევითობაა, წერილი ამან რომ ამოიღო. კონვერტის გახსნა ყოველ ჩვენგანს შეგვეძლო. დავალება პირადად ამისთვის რომ ყოფილიყო, ენრიკესავით, დააწერდნენ.

ენრიკე — შეეძლოთ, ყველაფერი წინასწარ ჩაეფიქრებინათ.

ფერნანდო — შეეძლოთ, მაგრამ მეეჭვება. ყოველივე ისე უაზროდ უცნაურია, რომ ნაღდად სიმართლეა.

ენრიკე — თუ დავიწუნეთ, გააგდებენ. ეს გინდა?

ფერნანდო — აბა, რა! გავუშვათ და ერთით ნაკლები დავრჩებით.

მერსედესი — არც ეგრეა; ჩვენ კი არა, ისინი გადაწყვეტენ, გაუშვან თუ არა.

ფერნანდო — კარგი აზრია. ასე თუ მოხდა, აღარავინ იტყვის, „დეკიაში“ რაღაც და რაღაც ნიშნით დისკრიმინაცია მძვინვარებსო. ამას თვითონ კი არა, ჩვენი მეშვეობით მოიცილებენ... რისი წინააღმდეგიც არა ვარ.

მერსედესი — მე მაინც არ მჯერა... ყველაფერი ტყუილი მგონია. ესე იგი, ამას ვაგდებთ და არ ვიცით, რისთვის... და საერთოდ, არაფერიც აღარ ვიცი...

კარლოსი — ვერა ვხვდები, ჩემი რატომ არ გჯერათ. ჩვენ დროში სქესის შეცვლა იშვიათობა აღარ არის. მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ უამრავი ქალი და კაცი ბუნების შეცდომის გამო თავის სხეულში არა ცხოვრობს.

ფერნანდო — ბიძია, ისე დაბეჯითებითა და მონდომებით გვიბეჭდავ ტვინში რომელიღაც სახელმძღვანელოდან ციტატებს, რომ ვიბნევი.

კარლოსი — მომეშვი... ჩემსავით ტანჯულებს, ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გაგვიჩნდა არჩევანის შანსი. გადაწყვეტილების მიღება, გეფიცებით, ძალიან რთულია. წლობით ვერ გადამეწყვიტა ეს ნაბიჯი გადამედგა თუ — არა. ყოველმხრივ შემამოწმეს. ექვსი წელია მაკვირდება ფსიქიატრი, რომელმაც ბოლოს მირჩია ოპერაციაზე დავთანხმებულიყავი. ეს სამუშაო ადგილი ახლა ჩემთვის მთავარი არ არის. რაღაცას ყოველთვის ვიშოვი. უფრო მნიშვნელოვანი გახლავთ, საჭიროდ სცნოთ, მე თვითონ განვაგო საკუთარი ბედი და ჩემი საქციელი პათოლოგიური არ გეგონოთ. აი, შენ, ენრიკე, შვილები ხომ გყავს? წარმოიდგინე, ერთ-ერთი მათგანი ჩემს დღეში. განა არ მოგინდება, საკუთარ თავთან თანხმობით იცხოვროს? რასაკვირველია, ყოველთვის

აღმოჩნდებიან ტიპები, გვარს არ დავასახელებ, ვისი მსგავსნიც ჩვენნაირებს მასხრად აიგდებენ და იდიოტებს უძახებენ. რას იზამ, ასეთებს რა გამოლევს? მაგრამ შენ, მერსედეს, შენ ხომ ასეთი არა ხარ? მე მინდა, წინანდებურად მემეგობრო, ეს ახლა ძალიან მჭირდება! მე ხომ ისევ ისეთივე ვიქნები, ან, ვიმედოვნებ, სულ ცოტა უფრო ბედნიერი...

მერსედესი — კარგი, რა, კარლოს! ისედაც შენს გამო, თავს რაღაცნაირად ვგრძნობ... თქმა მიჭირს.

კარლოსი — მაგაზე ნუ იფიქრებ. რამდენი წელია ერთმანეთს ვიცნობთ. სწორედ ახლა მჭირდება ადამიანი, ჩემი რომ ესმის.

მერსედესი — არც ვიცი, რა გიპასუხო?!

კარლოსი — მითხარი, ყოველთვის მეგობრებად დავრჩებით-თქო!

მერსედესი — ჩვენ არც ისე ძალიან ვძმაკაცობდით... ანუ ვდაქალობდით... ფუი, შენი! ხანდახან ვხვდებით ხოლმე...

კარლოსი — დამეხმარე.

მერსედესი — არ მესმის, რასა მთხოვ?

კარლოსი — კონკურსიდან ნუ გამაგდებ, თუ შეიძლება! ამას მხოლოდ შენ გთხოვ...

მერსედესი — კარლოს...

კარლოსი — ეს ორნი რომ გამაპანღურებენ, ცხადია. შენ მაინც... შენ მაინც...

(მერსედესი და კარლოსი ერთხანს ერთმანეთს შეაცქერდებიან)

ფერნანდო — ნებას თუ დამრთავთ, გკითხავთ, გეთაყვა! ამას სულს რომ ამოართმევ, მერე ჩვენ მოგვდგები?

კარლოსი — არა.

ფერნანდო — აი, ყოჩაღ! უნდა ვაღიარო, ყოჩაღი და მარჯვე ხარ! ვაშა!

კარლოსი — თავიდან ნუ დაიწყებ! *(მერსედესს)* რას მეტყვი?

მერსედესი — დამაცადე, მოვიფიქრო.

ფერნანდო — მე კი მოფიქრება არა მჭირდება. რასაც ახლა სჩადი, ტიპიური ემოციური შანტაჟია და მეტი არაფერი. თქვენ იცნობთ ერთმანეთს, ეტყობა, თავის დროზე მერსედესი მიაგდე და ახლა კუდს აქიცინებ?

მერსედესი — ყური მიგდე, ბეკეკავ! არავითარი შანტაჟი არ არის. ისე მოვიქცევი, როგორც საჭიროა. და მე და ამას რაღაცა თუ გვქონდა, შენი საქმე არ არის და ნუ ყოფ მაგ უწმინდურ ცხვირს ჩვენ საქმეში.

ფერნანდო – ბოდიშს გიხდით. მომიტევეთ.

მერსედესი – კარლოს, გამოგიტყდები და სქესის შეცვლაზე შენი ამბავი როგორც თავიდანვე არა მჯეროდა, ახლაც ისევე არა მჯერა. მაგრამ თუ ეს სინამდვილე აღმოჩნდება და სამსახურში შენი მიღება ჩემზე იქნება დამოკიდებული, უარს გეტყვი, არ აგიყვან.

კარლოსი – რას იზამ... მე კი შენ იმედზე ვიყავი. თუმცა ეს ნორმალურია. მესმის...

მერსედესი – ძალიან ვწუხვარ. *(მობილურის ხმა)* მაპატიეთ. *(აპარატს დახედა)* რა მოხდა?

კარლოსი – თქვენთან, ვიცი, ლაპარაკიც არ ღირს.

ენრიკე – არჩევანიც კი არ გვაქვს. ლომის გული უნდა ჰქონდეს, ვინც შენნაირ ტიპს აიყვანს. დიდად სარისკო საქმეა.

მერსედესი – *(ტელეფონში)* რაო? როგორ? უკვე? როდის?

ფერნანდო – მე კი აგიყვანდი. მაინტერესებს, როგორი დადგები? ეგებ, სულაც ჩემი ოცნების ქალიშვილი გახდე.

კარლოსი – რა უნდა გელაპარაკო? რეგვენი და უტიფარი ხარ.

მერსედესი – *(ტელეფონში)* ღმერთო... ჰო. ახლავე... მოვდივარ. *(აპარატი გათიშა)*

ფერნანდო – *(მერსედესს)* როგორც ჩანს, შენი ყოფილი გვტოვებს.

მერსედესი – გარდაიცვალა... დედაჩემი...

კარლოსი – რა თქვი?

მერსედესი – დედაჩემი გარდაიცვალა.

ენრიკე – ღმერთო...

კარლოსი – როგორ?

მერსედესი – აპარატზე იყო მიერთებული. გულის შეტევა მოსვლია.

ენრიკე – ვიზიარებ...

კარლოსი – ახლახან არ დაგირეკეს?

მერსედესი – სანამ ვლაპარაკობდით, კომაში ჩავარდნილა. ჩემმა დამ არ იცოდა.

კარლოსი – მერსედეს...

მერსედესი – წავედი.

კარლოსი – ერთად წავიდეთ. მე ხომ ისედაც მივდივარ.

მერსედესი – რა საჭირო? მანქანითა ვარ. ჯანდაბა! რო დამირეკეს, მაშინვე უნდა წავსულიყავი.

კარლოსი — მაგაზე ნულარ იფიქრებ... მაინც ვერ მიუსწრებდი.
მერსედესი — წასვლაზე არც კი მიფიქრია. იდიოტივით დავრჩი, რა ჯანდაბა დამემართა?
კარლოსი — საჭესთან ნუ დაჯდები. მოდი, მე წაგიყვან.
მერსედესი — გმადლობ. *(მერსედესი და კარლოსი ალაგებენ)*
ფერნანდო — ძალიან ვწუხვარ.
მერსედესი — შენა?
ფერნანდო — დიახ!
მერსედესი — წუხხარ თუ ფიქრობ: „მადლობა ღმერთს, ორით ნაკლები დავრჩითო?"
ფერნანდო — გოჭი, შეიძლება, მაგრამ არც ასეთი დიდი ღორი ვარ.
ენრიკე — შენს წასვლას, ალბათ, გაგებით მოეკიდებიან.
ფერნანდო — თავიდანვე გაგვაფრთხილეს: რა მიზეზითაც არ უნდა წავიდეს, მაშინვე ამოშლიან.
კარლოსი — ნამუსი სულ დაკარგე?
ფერნანდო — მე მხოლოდ გახსენებთ, რომ არ შეგეშალოთ.
ენრიკე — კიდევ კარგი, შენ არაფერს გეკითხებიან.
ფერნანდო — მე კი არა, იმათ თქვეს ასე.
მერსედესი — იმედია, შენ აგიყვანენ. პირადად მე ასე მოვიქცეოდი. შენნაირი ვირიშვილები ქუჩაში არა ყრია.
ფერნანდო — რას მერჩი? დედაშენი მე ხომ არ მომიკლავს? *(მერსედესი ზიზღით უცქერის)* რას მიყურებ? ჩემგან რა გინდა? *(მერსედესი თვალს არ აშორებს ფერნანდოს. მათ კარლოსი უახლოვდება)*
კარლოსი — მერსედეს... წავიდეთ.
მერსედესი — *(არ ინძრევა. ისევ ფერნანდოს მიშტერებია)* ვრჩები!
კარლოსი — რა?
მერსედესი — რაც გაიგონე, ვრჩები.
კარლოსი — მერსედეს...
მერსედესი — დედა გარდაიცვალა. ნახევარი საათი არაფერს შეცვლის.
კარლოსი — ეგ რამ გათქმევინა?
მერსედესი — უნდა დავრჩე.
კარლოსი — კი, მაგრამ...
მერსედესი — ამის მიზეზი მაქვს. ეს ჩემი საქმეა.
კარლოსი — რა თქმა უნდა, შენი საქმეა, მაგრამ...

მერსედესი — შერჩევა ჯერ არ დამთავრებულა.
კარლოსი — რა დროს შერჩევაა?!
მერსედესი — ამას კინწისკვრით რომ გააგდებენ, მერე წავალ.
კარლოსი — არაფერი მესმის.
მერსედესი — ჩემი საქმე მაქვს-მეთქი, გასაგებია?
ფერნანდო — როგორ გეტყობა, დედისათვის რომ გიჟდებოდი.
მერსედესი — რაც გინდა, იფიქრე. მიმიფურთხებია.
კარლოსი — გავგიჟდი და ეგ არის.
ფერნანდო — შენ რაღას უცდი, ძმობილო?
კარლოსი — მერსედეს, წამოდი. ჭკუას მოუხმე. ჩიტი ბრდღვნად არა ღირს.
მერსედესი — თავი დამანებე.
კარლოსი — *(დანარჩენებს ათვალიერებს)* სამივე დარტყმულები ხართ. არ ვიცი, ამდენ ხანს როგორ ვითმენდი, თავზე რომ... გვაფსამდნენ. ერთი ბეწო თავმოყვარეობა რომ გვქონოდა, ამათ დიდი ხანია დავიკიდებდით იმაზე... როგორც ფერნანდო იტყოდა, ფეხზე. თანაც, ერთხმად!
ფერნანდო — მიდი, მიდი, არ დაიგვიანო, ლოღნე შენი ჰორმონები.
კარლოსი — ერთადერთი კანდიდატები თუ მართლა მხოლოდ თქვენა ხართ, მომიხნავს ეგეთი ფირმა.
ფერნანდო — ბედნიერად იმგზავრე!
კარლოსი — მშვიდობით! *(კარს ვაღებს და ვადის)*
ენრიკე — არ მინდა, ჩავერიო, მაგრამ...
მერსედესი — ჰო და, ნუ ჩაერევი.
ფერნანდო — რკინის ლედია!
მერსედესი — დედაჩემიც ზუსტად ასე მოიქცეოდა.
ფერნანდო — რა სამაგალითო ოჯახი გქონიათ?!
მერსედესი — მოსახდენი მოხდა. პირველად რომ დამირეკეს, მაშინვე უნდა წავსულიყავი. ახლა გვიან არის. *(სარკმელთან მიდის. დანარჩენებს)* ყურები რად ჩამოყარეთ? თუ თამაშია, ბოლომდე ვითამაშოთ. ახლა რაღა გვაქვს დღის წესრიგში?
ენრიკე — უკვე გითხარით, მაგრამ მზად ვარ, გავიმეორო: თავიდანვე გაგვაფრთხილეს, რომ ვინც ოთახიდან გავა, თამაშს ავტომატურად გამოაკლდება. მაგრამ ახლა განსაკუთრებული შემთხვევა გვაქვს. დარწმუნებული ვარ, პერსონალის შერჩევის დეპარტამენტის თანამშრომლები გაითვალისწინებენ მომხდარის

სერიოზულობასა და სიმძიმეს და შედეგების შეჯამების დროს ვადამდელ წასვლას კაპიტულაციად არ ჩათვლიან.

(ფერნანდო და მერსედესი ერთმანეთს შესცქერიან)

ფერნანდო — ხომ ვამბობდი? შემოგზავნილია! ნამდვილად!

ენრიკე — არა, შემოგზავნილი არ გახლავართ. ამ ფირმასთან არაფერი მაკავშირებს. რაც ვთქვი, ბუნებრივია. ალბათ, ასეც მოიქცევიან. ძალიან საპატიო მიზეზია, ამაზე საპატიო რაღა იქნება?

მერსედესი — შენ ნამდვილად აქ მუშაობ!

ენრიკე — არა-მეთქი!

ფერნანდო — მხოლოდ შენ არ გითქვამს, ადრე სად მუშაობდი. ეგაც არ იყოს, აქ მომუშავის მეტი ასე ვინ იტყოდა: „პერსონალის შერჩევის დეპარტამენტის თანამშრომლები გაითვალისწინებენ მომხდარის სერიოზულობასა და სიმძიმესო?“

ენრიკე — რასაც ვფიქრობ, ის ვთქვი. მართალია, უცნაური შემოწმებები ჩაგვიტარეს, მაგრამ მხეცები ხომ არ არიან?! ამას გარდა, რაც დაემართა მას შემდეგ, მერსედესისაგან ადეკვატურ საქციელს აღარც უნდა ველოდეთ.

მერსედესი — მაგრამ ეს სამუშაო ადგილი ძალიან მჭირდება. ყველაფერი რომ მივატოვო და საავადმყოფოში გავქანდე, დედას მაინც ვერ გავაცოცხლებ. კონკურსანტებისთვის თქვენ გარკვეული წესები დაადგინეთ და მეც ვალდებული ვარ, ამ წესებს მივდიო.

ენრიკე — შეჩერდი! სდექ! არავითარი წესები მე არ დამიდგენია. მეც თქვენნაირი პრეტენდენტი ვარ.

ფერნანდო — მიდი, განაგრძე ცრუპენტელობა! კარგი! თუ თამაშია, ვითამაშოთ. ოღონდ, ნუ დაივიწყებთ: მოგზავნილი რომ ხარ, თავიდანვე ვისქესე!

მერსედესი — მორიგ კონვერტს კიდევ დიდხანს უნდა ველოდოთ?

ენრიკე — მე რა ვიცი?

მერსედესი — ის ფაქტი, რომ დავრჩი, ალბათ, თვალნათლივ ადასტურებს, რამდენად მნიშვნელოვანია ეს ადგილი ჩემთვის. რახან აქა ვარ, ვიმოქმედოთ. თუ შედეგი ასეთ თამაშზეა დამოკიდებული, ვითამაშოთ, ოღონდ ტემპში!

სარკმელი გაიხსნა.

ფერნანდო — ხედავ, პატივს გცემენ.

მერსედესი — გმადლობთ. *(სარკმლისკენ მიდის).*

ენრიკე – *(შეაჩერებს)* მოიცა! *(სარკმელთან მივა, მაგრამ კონვერტის ამოღების ნაცვლად სამალავს დაკეტავს)* საჭირო არ არის. ორივე მართალი ხართ. მე ესტებან როხასი ვარ, ფსიქოლოგი, „დეკიას“ ექსპერტი პერსონალის შერჩევის დარგში.

ფერნანდო – ოპაა! აკი ვამბობდი!

ენრიკე – ორიოდე ტესტი დარჩა, მაგრამ არსებულ სიტუაციას თუ გავითვალისწინებთ, ეს დავივიწყოთ.

მერსედესი – გმადლობ.

ფერნანდო – ვიცოდი. თავიდანვე ვგრძნობდი. ბრწყინვალედ თამაშობდი; მაგარი არტისტი ყოფილხარ, ტალანტი! იმედია, არ მიწყენ, რაც გაკადრე.

ენრიკე – კარლოს ბუენო თამაშგარედ აღმოჩნდა. თქვენ ორნი დარჩით.

მერსედესი – ახლა რას იზამთ? უფრო სწორად, ისინი რაღას იზამენ? რა გადაწყვეტილებას მიიღებენ?

ენრიკე – გადაწყვეტილებას მიიღებენ იმის საფუძველზე, რასაც გვიჩვენებთ. და როგორც მოიქცევით.

მერსედესი – რაიმეზე კიდევ თუ უნდა შეგვამოწმოთ, მზად ვარ; დავიწყოთ.

ფერნანდო – ნუ იქაჩები. შენ ახლა დამკრძალავი ბიურო გელოდება.

მერსედესი – იცი, რას გეტყვი? შენი საქციელი უკვე მომწონს კიდეც. მამაჩემს მაგონებ. ისიც შენსავით ცინიკოსი იყო. *(ენრიკეს)* საქმე წინ წავიგდოთ. მზად ვარ.

ენრიკე – რახან ასე გსურთ... შეგვიძლია, უკანასკნელ ეტაპს შევუდგეთ. ეს ისედაც უნდა შეგვესრულებინა.

მერსედესი – დიდი ხანი დაგვჭირდება?

ენრიკე – თქვენზეა დამოკიდებული.

მერსედესი – მაშინ, დავიწყოთ!

ფერნანდო – მაპატიე, მაგრამ ხომ არაფერს მეტყვი... ამ... ყველაფერზე?

ენრიკე – თუ ინებებთ, მოგვიანებით გაგაცნობთ ჩვენი მეთოდის თავისებურებებს. მაგრამ ჯერ ტესტები უნდა მოვილიოთ. სენიორა დეგას, მზად ვარ გაგიმეოროთ. მშვენივრად მესმის, რომ გეჩქარებათ. თქვენ ორნი, მართლაც, ბოლო კანდიდატები ხართ. ამიტომ, თუ გსურთ, შეგვიძლია, ეს შეხვედრა გადავდოთ.

ფერნანდო — ჩემთვის სულ ერთია! ამან დაიჟინა, მაინცდამაინც, განვაგრძოთო.

მერსედესი — მირჩევნია, საქმე ბოლომდე დღესვე მივიყვანო.

ენრიკე — დარწმუნებული ბრძანდებით?

მერსედესი — სავსებით.

ენრიკე — როგორც ინებებთ. ბოლო ეტაპიც თამაშია. *(ენრიკეს ნიშანზე სარკელი იხსნება. ორ კონვერტს ამოიღებს).* თითოეულ თქვენგანს თავისი დავალება აქვს. ვინც ადრე შეასრულებს, გამარჯვებულიც ის იქნება. ორ კონვერტს გიტოვებთ. შიგნით, ბარათში წერია, პარტნიორს როგორც მოექცევით. დავალებას წაიკითხავთ, ბარათს კონვერტში დააბრუნებთ და კონვერტს მაგიდაზე დადებთ. როცა ერთ-ერთი თქვენგანი მიზანს მიაღწევს, მეორეს წააკითხებს ბარათს და ეს უკანასკნელი უსიტყვოდ დატოვებს დარბაზს. აქ თამაში მთავრდება. შესაძლოა, მეორე ვარიანტიც. თუ ერთი თქვენგანი ვადამდე მიხვდება მეორის განზრახვას, უნდა თქვას. თუ სწორად გამოიცნო, გაიმარჯვებს. გასაგებია? *(ორივე თავს დადებითად იქნევს)* ახლა, დაგტოვებთ. სენიორ პორტა, თქვენ კონვერტს ერთი აწერია, მერსედეს, თქვენსას კი — ორი. *(კონვერტებს უწვდის)* წაიკითხეთ დავალებები. *(ორივე კითხულობს)*

ფერნანდო — უხ, შენი! ეს ხომ...

ენრიკე — თუ არა გნებავთ, შეგიძლიათ, უარი განაცხადოთ.

ფერნანდო — არა, რას ბრძანებთ! ეს ისე... იმედია, მერსედესის დავალება ამაზე გაცილებით იოლი არ იქნება.

ენრიკე — ვერაფერს გეტყვით. გთხოვთ, ბარათები კონვერტში ჩააბრუნოთ. კონვერტები მაგიდაზე დადეთ.

ფერნანდო — ერთი წუთით! ყოველგვარი გაუგებრობა თავიდანვე რომ ავცილოთ. თუ მივაღწიე, რასაც მავალებენ, მოვიგებ. თუ ეს ადრე მიმიხვდა — წავაგებ.

ენრიკე — ზუსტად ბრძანეთ. ვინც მიზანს ადრე მიაღწევს ან გამოიცნობს მეტოქის განზრახვას, დარჩება. მეორე თამაშს ტოვებს.

მერსედესი — თუ მივხვდი და აღმოჩნდება, რომ ბარათში სულ სხვა რამ წერია?

ენრიკე — ჯერ უნდა სთქვათ და ბარათში შემდეგ ჩაიხედოთ. თუ ვერ გამოიცანი — გავარდები.

მერსედესი — გასაგებია. *(კონვერტს ორივე მაგიდაზე დადებს).*

ენრიკე — წარმატებას გისურვებთ! *(ვადის)*
ფერნანდო — უფალი გწყალობდეს!
მერსედესი — შენც...
ფერნანდო — მე აქ, იცი... შენი დავალებაც თუ ასეთია, გაგვითენებია და ეგ არის.
მერსედესი — მთელი ღამით აქ ვერ დავრჩები.
ფერნანდო — გასაგებია. *(ხმას დაუწია)* პატიოსნად გეტყვი. ეს თამაშები ცოტა... ცოტა კი არა, კარგა მაგრა... *(საფეთქლთან თითს იტრიალებს)*
მერსედესი — რას იზამ? ვმონაწილეობთ!
ფერნანდო — რასაც გვპირდებიან იმ მაყუთისთვის, თუ საჭირო შეიქნა, აი, ამ მაგიდაზე შვედეთის ჰიმნს ვიცეკვებ. ეს რაც შემეხება მე... შენ კი...
მერსედესი — დაამთავრე.
ფერნანდო — ვერ გამიგია: დედა გარდაგეცვალა და ვითომც აქ არაფერიაო, თამაშს ვერ ელევი.
მერსედესი — ვთამაშობ, მაგრამ ისე არა, ვითომც აქ არაფერი იყოს. მსგავს შემთხვევაში შენ როგორ მოიქცეოდი?
ფერნანდო — არ ვიცი. ასეთი ჯერ არაფერი გადამხდენია. ერთი, ცალი თვალით შემახედა, შენიანებს როგორ აუხსნი, ადრე იმიტომ ვერ მოვედი, არ მეცალა, „ჩანაფიქრის გამოცნობანას“ ვთამაშობდიო.
მერსედესი — ჩემიანებს არაფერსაც არ ვეტყვი. რა ვალდებული ვარ?!
ფერნანდო — თუმცა, რა ჩემი საქმეა?!
მერსედესი — მართალსა ბრძანებთ!
ფერნანდო — საქმეს შევუდგეთ. როგორც ჩანს, გაგვიჭიანურდება.
მერსედესი — რა?
ფერნანდო — რა და თამაში. უნდა მიაღწიო იმას, რომ ვიღაცამ „რაღაც“ გააკეთოს. მაგრამ ცხვირში კი არ უნდა აჯახო, უნდა შეაპარო, ნელ-ნელა, ფრთხილად, თორემ მიგიხვდება და ჩასვრილი ხარ. ეშმაკურად მოუფიქრებიათ. საქონლის გასაღებას მაგონებს.
მერსედესი — ეგ რა შუაშია?
ფერნანდო — გაყიდვის ტექნიკისაგან არაფრით განსხვავდება. პირადად მე კუანა ბებრებით დავიწყე. ექსკურსიაზე წავიდეთ-მეთქი და გავჭედავდი ფურგონს. მიზანი ერთი მქონდა: რამე

შემესაღებინა მათთვის. რა თქმა უნდა, ღვინით ვუმასპინძლდებოდი და როცა შეჭიკჭიკდებოდნენ, შევყრიდი ჩვენ რომელიმე მარკეტში. იქიდან ნაყიდის გარეშე ცოცხალი თავით ვინ გამოუშვებდა?! ჩვენ კი ვხალისობდით. ერთხელ თხუთმეტსულიან ჯგუფს ვიდეოფირის გადასახვევი თორმეტი ყლინჯაფინი შესთხარეს. წარმოგიდგენია? ერთი დუჟინი! თავს დავდებ, მაშინ იმათგან არცერთს არ ექნებოდა ტელევიზორი!

მერსედესი — ცოლიანი ხარ?

ფერნანდო — რად დაინტერესდი?

მერსედესი — ცნობისმოყვარე ვარ.

ფერნანდო — არა, უცოლო გახლავარ.

მერსედესი — რატომ?

ფერნანდო — ეგეთი დავიბადე. შენ? გათხოვილი ხარ?

მერსედესი — არა, მაგრამ სამოქალაქო ქმარი მყავდა.

ფერნანდო — გილოცავ!

მერსედესი — შვილები თუ გყავს?

ფერნანდო — რამდენადაც ვიცი, არ უნდა მყავდეს.

მერსედესი — რას მიქვია, რამდენადაც ვიციო?

ფერნანდო — მართალი ხარ. იდიოტის პასუხია. ვითომ შესაძლებელი იყოს, ჩვენმა ძმამ არ იცოდეს, მამაა თუ არა. მაგ საქმეში ყოველთვის ზედმიწევნით ვფრთხილობდი. ვინმეს ჩემი სპერმა რომ აჰკიდებოდა, რა გააჩუმებდა?! ვიდრე ფეხმძიმობის ტესტი გაშრებოდა, ყველა ტელეფონს ჩამოიღებდა. ასე რომ, შვილი არა მყავს.

მერსედესი — მუსიკა თუ გიყვარს?

ფერნანდო — არა. აქვე იმათ გასაგონად დავსძენ, ინტერვიუზე მხოლოდდამხოლოდ იმიტომ დაგთანხმდი, რომ თვითონ მოვისურვე. ნუ იფიქრებ, ჩემთან რაიმეს აკონტროლებდე.

მერსედესი — კი, მაგრამ არაფერი არ გიყვარს?

ფერნანდო — ჩემი სამუშაო.

მერსედესი — მეგობრები გყავს?

ფერნანდო — აბა, რა!

მერსედესი — საიდან?

ფერნანდო — როგორც ყველას: ზოგი — აქედან, ზოგიც — იქიდან.

მერსედესი — ნამდვილ მეგობრებზე გეკითხები.

ფერნანდო — მე კი გასაბერ თოჯინებზე მეგონა.

მერსედესი — *(გააბოლებს)* ეწევი?
ფერნანდო — არა.
მერსედესი — გითხრა, რასაც ამათზე ვფიქრობ? არცერთს არ აგვიყვანენ, არც შენ, არც მე.
ფერნანდო — ასე რატომ ფიქრობ?
მერსედესი — ისე... ინტუიცია მკარნახობს.
ფერნანდო — მაშ, ვის მიიღებენ? შენ თანაკურსელს?
მერსედესი — ჩემი აზრით, გვამასხარავებენ.
ფერნანდო — ეგ ხომ შემოსვლისთანავე ნათელი იყო. ასეთები არიან ფსიქოლოგები. კიდევ კარგი, მომღერალი სავარძლები ან ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები არ განგვასახიერებინეს.
მერსედესი — რაღაცნაირი მეექვსე გრძნობა გამაჩნია. ყოველთვის გამაჩნდა. რამე თუ ისე არ არის, განგაშის ნიშანს მაძლევს. ამჟამად, კარგა ხანია, არ გაჩუმებულა. ეს პერსონალის შერჩევა კი არა, რაღაცა ჯანდაბაა!
ფერნანდო — მთავარს მიადექი, ხომ ასეა? გინდა, ამათ თვალთმაქცობაში დამარწმუნო? ეს გევალება? ამ იერიშისათვის ფრიად მოუმზადებელი აღმოჩნდი. პირდაპირ შუბლში მხეთქე. არა? ჯერ, არა? აა, გინდა ჯერ მოსინჯო? პირში გეტყვი. ტყუილების დიდოსტატი ვარ. ამ საქმეში ვერ მაჯობებ, ვერც გამაცურებ.
მერსედესი — რაც გინდა, იფიქრე. აქ ჩვენ სამუშაოს ვერ ვიშოვნით. მაგრამ რაღაც მაინც მაკავებს. ალბათ, ცნობისმოყვარეობა.
ფერნანდო — არაადამიანური ცნობისმოყვარეობა გქონია? დედა ახლახანს გარდაგეცვალა, შენ კი დამჯდარხარ და ყბედობ. იცი, ვის მაგონებ: აფრიკელი დამშეულებისათვის გული რომ უკვდებათ და „საზღვრებ გარეშე ექიმებს“ ფულს რომ ურიცხავენ. თუ თვითონ, შემთხვევით, მშობელი დედა მოუკვდებათ, ისე იქცევიან, თითქოს ფლავი მიეწვათ.
მერსედესი — შე დამპალო, შე ძაღლის შვილო, რატომ გგონია, რომ უფლება გაქვს ყველას მიაძახო, რაც შენ მარცხენა ყვერს ან როგორც ამბობ, მარცხენა ფეხს მოუნდება! კარლოსმა ვერ მოასწრო, გემრიელად მიებეგვე და შეიძლება ახლა მოგხვდეს, რაც აგცდა.
ფერნანდო — კარგი, კარგი, დამშვიდდი. გამოგიტყდები და აღტაცებული ვარ შენით. დედაშენი უკვე მკვდარია და ვეღარაფერს შეცვლი. აქ კი უდიდესი, კოლოსალური შესაძლებლობა გაქვს,

გენიალური სამუშაო იშოვნო. რატომ დანებდები? ღირს კი უკანასკნელ მომენტში უკანდახევა, ოცი წუთით ადრე სადღაც რომ მიხვიდე, ღმერთმა უწყის – რატომ? ძალიან მიყვარს პრაქტიკულად მოაზროვნე ხალხი. შენ ზუსტად ასეთი ბრძანდები. ძალიან მომწონხარ. მართლა, მართლა! ცხადად გეტყობა, რომ იცი, რაც გინდა. ნეტა მეც შენსავით ასე მედგრად ვიდგე, ამგვარი რამ თუ დამემართება. საცოდაობაა შენი დამარცხება. ორივეს ხომ არ აგვიყვანენ? მაგარი ჯგუფი შეიკვრება. რას ფიქრობ? როგორ გგონია?

მერსედესი – ცხოვრებაში ვინმე თუ გყვარებია?

ფერნანდო – გამოსაშტერებლად იცვლი მიმართულებებს!

მერსედესი – თუ არ გინდა, ნუ მიპასუხებ.

ფერნანდო – არა, რატომ? გიპასუხებ. მხედველობაში, ალბათ, ქალი გყავს?

მერსედესი – ქალი, რა თქმა უნდა!

ფერნანდო – მმმ... არა მგონია. მაგრამ თუ გინდა, გამოგიტყდები: ერთხელ ერთ ქალს ხელი ვთხოვე.

მერსედესი – და უარი გითხრა.

ფერნანდო – არა, დამთანხმდა. შეუცდომელი ნაბიჯების გადადგმა მიყვარს. რო მგონებოდა, უარს მეტყვის-მეთქი, არ შევთავაზებდი.

მერსედესი – მერე მიატოვე?

ფერნანდო – ერთ კვირაში.

მერსედესი – სტყუი.

ფერნანდო – მე?

მერსედესი – დიახ, შენ. ხომ გითხარი, მეექვსე გრძნობა მაქვს!

ფერნანდო – თუ პირველი ხუთი გრძნობაც მეექვსეს დონეზეა, ექიმს ეჩვენე, შევამოწმოთ.

მერსედესი – რად მიგატოვა?

ფერნანდო – მე მივატოვე-მეთქი! კარგი, ამაზე მოვრჩეთ. სულ იმას ვფიქრობ, საით მიგყავს ჩვენი საუბარი ამ შენი მოულოდნელი ნახტომებით, მაგრამ, მგონი, სერიოზულად ჯერ არც კი დაგიწყია მცდელობა. ისე ისვრი, ალალბედზე, სასინჯად. გგონია, ყურადღებას მომიდუნებ და ბრახ! მოულოდნელად გამომიჭერ? არ გამოგივა, ძვირფასო! აქ იმდენი ხანია ვყურყუტებ, ეგრე ადვილად ვერ მაჯობებ. თუ არ დაიღალე, განაგრძე. ოღონდ გაფრთხილებ, დროს ტყუილად ნუ დახარჯავ. დრო კი ცოტა

გაქვს. მეშინია, გასვენებაზე არ დაგაგვიანდეს. *(მერსედესი საათს დაჰედავს)* დარეკვა თუ გინდა...

მერსედესი — არ მინდა.

ფერნანდო — ესე იგი, შენი და თვითონ დაგირეკავს, თანაც მალე. რას ეტყვი?

მერსედესი — *(ტელეფონს გათიშავს)* არ დამირეკავს.

ფერნანდო — *(ოდნავ იმედგაცრუებული)* ო-ო!

მერსედესი — რა მოხდა?

ფერნანდო — ეგებ, სულ რაღაც ასეთი უმნიშვნელო დავალება მქონდა: მაგალითად, ტელეფონი გაგეთიშა?

მერსედესი — ნუ სულელობ! *(ფერნანდო თავის კონვერტს აიღებს, ბარათს ამოიღებს, თითქოს მერსედესს უნდა უჩვენოს)* ჯანდაბა! *(ბარათი უნდა გამოართვას, მაგრამ ფერნანდო ბარათს კონვერტში ჩააბრუნებს და კონვერტს ისევ მაგიდაზე დადებს).*

ფერნანდო — არ შეკრთე. გეხუმრე.

მერსედესი — ნამეტანი ხუმარა ხარ.

ფერნანდო — ყურადღების ღირსიც არა ვარ.

მერსედესი — იცი, რატომ დავრჩი? ისე მეზიზღები, რომ ძალიან, ძალიან მინდა გაგაპანღურო.

ფერნანდო — დედაშენი იამაყებდა, ასეთი შვილი რომ გაზარდა.

მერსედესი — შენ ობოლი ხარ, ხომ მართალია?

ფერნანდო — ობოლი?

მერსედესი — დედა რომ გყავდეს, ასე არ იოხუნჯებდი.

ფერნანდო — დედაცა მყავს და მამაც.

მერსედესი — ღმერთო, ისე ჰქმენ, არასოდეს, არასოდეს დასჭირდეთ მოხუცებს ამისი თავი.

ფერნანდო — რაც სჭირდებათ, ყველაფერი აქვთ. მიუხედავად აქაური ჩემი საქციელისა, მშობლებთან ურთიერთობა ჩემი წმიდათაწმიდა მოვალეობაა. ამიტომ, გთხოვ, ამას ნუ შეეხები! ღმერთმა დაიფაროს, იმათ შენსავით ვექცეოდე. არაფერს ვიტყვი შენს ამჟამინდელ მდგომარეობაზე — კრიმინალია და მეტი არაფერი! საერთოდ, ჩვენს განვლილ ერთობლივ ცხოვრებაზე მინდა, ერთი-ორი სიტყვა გითხრა. მათთვის არასოდეს მიღალატია. მშობლებმა ჩემთვის იმდენი გაიღეს, როგორც უნდა მოვიქცე, ნემსის ყუნწშიაც რომ გავძვრე, სიკეთის ერთ მეათასედსაც ვერ გადავუხდი... ყოველთვის ვალში ვიქნები. შენი ბოლო ნათქვამი გულში მომხვდა... შენ... იცი, შვილები რატომ არა მყავს? იმიტომ, რომ

ყოველთვის მეგონა, ისე ვერ შევიყვარებდი, როგორც ბავშვობაში მე ვუყვარდი. მამაჩემი... შენ, გეტყობა, დედიკოს შვილიკო ხარ. მე კი ქუჩის ბიჭი ვიყავი. მამაჩემი ლიანდაგის დარაჯად მუშაობდა. მთელი ცხოვრება რკინიგზაზე გაატარა. დღე და ღამ, ზოგჯერ უფრო მეტი ხანიც იქ იყო, ეს თუ შესაძლებელია. ხშირად ჩვენთან ერთად ღამეც არ გაუთენებია. მაგრამ, როცა მოვიდოდა, აუცილებლად რაღაც საჩუქარი მოჰქონდა. სულ არაფერი – ფოჩიანი კანფეტი! მაგრამ არასდროს, გესმის? – არასოდეს ხელცარიელი არ მოსულა. რა მნიშვნელობა აქვს საჩუქრის ფასს?! მთავარი და დასაფასებელი ის იყო, რომ ერთი წამითაც არ მივიწყებდა. ისეც ხდებოდა, მთელი კვირა არა ჩანდა. მისი ჩამოსვლისათვის დედა ყიდულობდა ლობიოს, პარკიან ლობიოს და მე და ის, ოთხ ხელში, ვმარცვლავდით. მერე დედა ამზადებდა მამაჩემის უსაყვარლეს კერძს – ლობიოს ჩორისოთი. შენ, ალბათ, აზრზე არა ხარ, რაზეა ლაპარაკი?! შენ სახლში ლობიოს ვინ იკადრებდა?! ჩვენ კი გემრიელად გეახლებოდით და ჩემთვის დედასთან ერთად ლობიოს ჩურჩვნა ნამდვილი ზეიმი იყო. მამას ჩვენ ახლაც ვუმზადებთ ხოლმე ლობიოს – მისთვის ეს ყოველთვის სასიამოვნო სიურპრიზია. მიუხედავად ჩემი ასაკისა – ორმოცს მივუკაკუნე – მამა იდაყვში ამომდებს ხელს და მეკითხება: „იმედია, დედას ლობიოს გამომარცვლაში მიეხმარეო!“ და მერე, თითქოს ისევ ხუთი წლისა ვიყო, შუბლში წკიპურტს წამკრავს. ამას შენ ვერ გაიგებ. მე კი მის თვალებში ვკითხულობ, რომ ვეამაყები. დედაც ამაყობს ჩემით. ალბათ, ტყუილად გელაპარაკები, რადგანაც გაგებაში არა ხარ, რაზეა საუბარი. მობილური გამოთიშე, არა? ღამით, სიბნელისა რომ გეშინოდა, ხომ უძვრებოდი ლოგინში მშობლებს? როგორ ფიქრობ, დედაშენს დღეს არ ეშინოდა? იცი, ჩემთვის მთავარი რა არის? იცი, რისთვის ვმუშაობ და კარიერასაც რისთვის ვებღაუჭები? მინდა მშობლებმა ისე იამაყონ ჩემით, როგორც ბავშვობაში, კარგ საქციელს რომ ჩავიდენდი. აი, ამათ რატომ არ ვნებდები, ეშმაკმა დალახვროს! აი, რატომ ვარ მზად, გინდა მიტრა დავიმხო თავზე და გინდა სხვა უარესი. მინდა მშობლებმა დაინახონ, რასაც მივაღწიე. შენ კი მეუბნები, ცინიკოსი ხარო. გგონია, ყველას მოგვიგე, გვაჯობე და დაგვანახე, თანამდებობისათვის როგორ თავგამოდებით იბრძვი? სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ ნახევარი სენტავოა შენი ფასი. ნამდვილ ცხოვრებაში ვინმეს ღირსეულ

მეტოქეობას ვერ გაუწევ – არც ძალა შეგწევს და არც წელი მოგდევს. ყურადღებით მომისმინე, ეგებ, ბოლოს და ბოლოს, რაიმე შეიგნო. ახლოა ჟამი, ჩემო ბარბი, ჩემო გათამამებულო თოჯინა, როცა ეგ მშვენიერი საჯდომი მუხლებამდე დაგეშვება და ეგ გატიკნილი ძუძუებიც თოკზე გასაშრობად გაფენილი წინდებივით დაგეკიდება. ბრძოლითა და სისხლით მოპოვებული შენი კარიერიდან კი მიზერული პენსია დაგრჩება. დადგება ჟამი, როცა ყოველივე კარგი და საუკეთესო სამუდამოდ წარსულს მიბარდება. ასეთი დრო ჩემს ბებრებს უკვე დაუდგათ. მაგრამ იმათ ვყავარ მე, მათ ყოველთვის, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ვეყოლები და ყველაფერს გავაკეთებ, დაიჯერონ, რომ ამაოდ არ დამშვრალან. შენ? შენ რა დაგრჩება? ა-რა-ფე-რი! ერთ მშვენიერ დღესაც უკან მოიხედავ და ნეხვის დიდი გროვის მეტს ვერაფერს დაინახავ. *(დაჟინებით შესცქერის მერსედესს).*

მერსედესი – ღმერთო ჩემო... *(ტირის)*

ფერნანდო – რა დაგემართა? *(მერსედესი ქალალდის ცხვირსახოცს ამოღებს, ცხვირს იხოცავს)* მაპატიე; ეს უფრო იოლი აღმოჩნდა, ვიდრე მეგონა. *(კონვერტიდან ბარათს ამოიღებს. მერსედესს ცხვირწინ დაუდებს)* მევალებოდა, ამეტირებინე.

მერსედესი – შე დამპალო!

ფერნანდო – ყველაფერი სწორია, არა? შეადარე? *(მერსედესი ნივთებს ალაგებს)* ისე, რომ იცოდე, დედა გარდამეცვალა. მამასთან კი თხუთმეტი წელია უბრად ვარ. *(მერსედესი ზიზღით შეხედავს და ვადის. მარტო დარჩა, არ იცის, როგორ მოიქცეს).* ესეც ასე! ახლა როგორ მოვიქცე? გავიდე? თუ დავრჩე და ვუცადო? თამაშის კანონებს ვიცავ: გვითხრეს, თუ გახვალ – გამოვარდებიო. ესე იგი, უნდა ვიცადო. *(გაზეთს დააძრობს)* თუ წავიკითხავ, ამით, ალბათ, არაფერი დაშავდება, *(რამდენიმე წამში გაზეთს დაკეცავს და ადგება)* ღამეს აქ ხომ არ გავათენებ? ეი, გესმით ჩემი? *(საიდუმლო სარკმელზე აკაკუნებს)* არის აქ ვინმე? იცოდეთ, მხოლოდ გავიხედავ, ვინმე რომ ვნახო. *(დიდ კართან მივა. ვერ გააღებს)* ეს რაღა ოხრობაა? ეი, გესმით, კარი არ იღება. ვერ ვიტან ასეთ ხუმრობას! *(მომცრო კარს მივარდება. უნაყოფოდ. ისიც მაგრად ჩაურაზიათ)* ეს რაღაა? ახალი თამაში იწყება? გეცოტავათ? ჩემგან ახლა მაინც რაღა გინდათ? კარს ფეხით ხომ არ გავამტვრევ? *(ფანჯარასაც ვერ აღებს)* თუ ცდილობთ, მოთმინებიდან გამომიყვანოთ, მიზანს უკვე

მიაღწიეთ! ყველაფერი შევასრულე, რაც მევალებოდა. ეს უკვე მეტისმეტია... ნამეტანი მოგდით, ძმებო! *(მობილურს ამოიღებს)* ალო? „დეკიაა?“ პერსონალის შერჩევის დეპარტამენტთან ხომ ვერ შემაერთებთ? არავინ არის? ეგ როგორ? მე ოფისში ვარ. კანდიდატების შერჩევის ოფისში. დიახ, აქვე, ამ შენობაში. გასაუბრებაზე ვიყავი. რა მნიშვნელობა აქვს, რა გასაუბრება იყო? ვიღაც იქნება. ერთხელ კიდევ სცადეთ. არა, არ წასულან, სად წავიდოდნენ?! საათზე მეტია აქა ვარ. ჩემს გარდა, კიდევ სამი კანდიდატი იყო. ვერ გამიგეთ? სულ ოთხნი ვერ წავიდოდნენ, რადგანაც მე აქა ვარ. კარი დაკეტილია და იმიტომ ვერ წავედი; ვერ ვაღებ... აქ ვინმე ესტებან როხასი ბრძანდებოდა, კადრების განყოფილების ფსიქოლოგი. რას ჰქვია, ეგეთს არავის ვიცნობო?! მე ხომ... ხომ გეუბნებით, ოთხ კაცს ნამდვილად არ ჩაუბარებია საშვი. როგორ ჩავაბარებდი, თუ აქა ვარ გამომწყვდეული? თუ შეიძლება, ამობრძანდით და კარი გამიღეთ. მეთერთმეტე სართულზე, მისაღებში, როგორ თუ მეთერთმეტეზე მისაღები არ არსებობს. მაშ, მე სადა ვარ? ამას უკვე ველარ მოვითმენ. არა, ბატონო, გათამაშებისთვის მცხელა? მარიანო კი არა, ისა ვარ... არა ვარ, ბატონო, თქვენი დის ქმარი. ყური მიგდეთ, დალახვროს ეშმაკმა, ეხლავე ამოდით, თუ შეიძლება და კარი გამიღეთ. წადი, შენი... *(ყურმილი დაუკიდეს)* ო, ჰო, ჰო, რა ხუმარები არიან?! *(ისევ კარს ეჯაჯგურება)* რაღა უნდათ? მაგას ვნახავთ, ვინ ვის აჯობებს! ხუთ წუთში არ გააღებთ და სახანძროს დავურეკავ. *(ჯდება)* ერთი ვნახოთ, ამას რა უწერია. *(მერსედესის კონვერტიდან ბარათს ამოიღებს. ფარატინა ქალალდია, მომცრო კარი იღება. შემოდის საქალალდეამოჩრილი მერსედესი).*

მერსედესი — სენიორ პორტა, ბოდიშს გიხდით. მე ნიევეს კალდერონი გახლავართ, კადრების განყოფილების შტატიანი ფსიქოლოგი.

ფერნანდო — რა ბრძანეთ?

მერსედესი — გასაუბრება დამთავრდა. ნება მიბოძეთ, ჩემი კოლეგები წარმოგიდგინოთ.

(შემოდიან გალიმებული და იღლიაში საქალალდეამოჩრილი კარლოსი და ენრიკე) მიგელ გარსია. ესტებან როხასი.

კარლოსი — ძალიან სასიამოვნოა.

ენრიკე — ჩემი სალამი! *(ფერნანდოს ხელს ჩამოართმევენ. ფერნანდომ არ იცის, რა ქნას).*

მერსედესი — ესენი ჩვენი ფსიქოლოგები არიან. ვხედავ, გიკვირთ. ვაღიარებ, ჩვენი მეთოდი ჭეშმარიტად უჩვეულოა.

ფერნანდო — რა მაგარია! ძალიან მომეწონა! ერთხანს, თითქოს, ყველაფერს მივხვდი, მაგრამ... შემდეგ შევყოყმანდი. კიდევ ცოტა ხანს რომ გაგრძელებულიყო, გამოგიჭერდით.

მერსედესი — ამ მეთოდით ახლახან დავიწყეთ მუშაობა. სტოკჰოლმში ჩვენი სათავო ოფისის ხელმძღვანელის ისაია გრონჰოლმის შემუშავებულია. ძირითადი მიზანი პრეტენდენტის სხვადასხვა ემოციურ გამღიზიანებელზე რეაქციის შეფასებაა. უპირველესად, ეგრეთწოდებულ შემოქმედებით შემადგენელს ვაკვირდებით.

ფერნანდო — ჯანდაბამდე გზაც ჰქონია თქვენს გრონჰოლმს...

მერსედესი — ჩვენი ვინაობა რომ ვერ გამოიცანით, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. აქცენტი სულ სხვა რამეზეა.

ფერნანდო — ვერ გავერკვიე... აი, შენ... თქვენ... ხომ სთქვით, „რავენტალში“ ვმუშაობო? და მართლაც გაიხსენეთ იქაურები.

კარლოსი — დიახ, ვმუშაობდი და ბევრი მეგობარიც მყავდა.

ფერნანდო — სქესის შეცვლა... ბრწყინვალე იყო... მაგრამ, თუ გახსოვთ, არ დაგიჯერეთ?

კარლოსი — გმადლობთ.

ფერნანდო — გარდაცვლილი დედიკო კი... ერთი სიტყვით, მიმიღეთ თუ არა?

მერსედესი — სხვა კანდიდატებიც გვყავს.

ფერნანდო — ჰო, მართალია... რა თქმა უნდა.

მერსედესი — მაგრამ ახლავე შეიძლება ვაღიაროთ; ჩვენზე საკმაოდ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეთ.

ფერნანდო — ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მხოლოდ იმას ვაკეთებდი, რაც შესაფერისი იყო.

მერსედესი — არა, არა, ასეც ნუ თავმდაბლობთ. ბრწყინვალე იყავით. ორ კვირაში საბოლოო პასუხს შეგატყობინებთ.

ფერნანდო — ესე იგი, დავამთავრეთ?

მერსედესი — დიახ. იმედია, განსაკუთრებული უხერხულობა არ გიგრძვნიათ.

ფერნანდო — რას ბრძანებთ?! რა თქმა უნდა, არ მიგრძვნია.

ენრიკე — როგორც ხედებით, ეს ყველაფერი კონფიდენციალურია. ჩვენს მიერ გაკეთებული ყოველი დასკვნა, როგორც ამბობენ, ჩვენში დარჩება.

ფერნანდო — შეიძლება, წავიდე?

მერსედესი — დიახ.
ფერნანდო — აბა... შეხვედრამდე.
მერსედესი — ნახვამდის. დიდად გმადლობთ. *(ფერნანდო თითოეულს ხელს ართმევს და კარისკენ მიდის)*
ფერნანდო — ძალიან კარგი... ესეც ასე... მშვენიერია. *(ვადის)*
მერსედესი — აბა, გისმენთ.
ენრიკე — სიიდან არ ამოვშლიდი.
კარლოსი — მართალია, მცირეოდენი ემპათიაც კი არ გამოუმჟღავნებია, მაგრამ ეს დიდი უბედურება არ არის.
ენრიკე — სხვებთან შედარებით, მაინც არა უშავს. მხედველობიდან ნუ დავკარგავთ.
მერსედესი — გემუდარებით... ასე სერიოზულად ფიქრობთ? ის ხომ სრულყოფილი არარაობაა!
ენრიკე — ჩემის აზრით, ძალიან არარაობაც არ არის. მარტოკა უფრო დიდხანს უნდა დაგვეტოვებინა. ინსტრუქცია ამგვარ გამოცდას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. სხვებზე მეტხანს გაძლო. ესე იგი, ნებისყოფა აქვს.
მერსედესი — რამ დაგარწმუნა?
კარლოსი — ნუ გავაზვიადებთ. გატეხვა, შეიძლება, გაძნელდეს, მაგრამ არც ისე უდრეკია.
ენრიკე — თავს ვერ დავდებ, მაგრამ მთლიანობაში, ვფიქრობ, დარტყმებს გაუძლო.
მერსედესი — ესტებან, რა გემართება? ძალიან გამაკვირვე!
ენრიკე — რატომ?
მერსედესი — იმიტომ, რომ ამ ტიპს უდრეკებთან და, მითუმეტეს, გამძლეებთან საერთო არაფერი აქვს.
ენრიკე — ჩვენ ვეძებთ ძლიერ, საკუთარ თავში დარწმუნებულ ადამიანს, რომელსაც თავის დაცვაც შეუძლია, ადვილად ვერ მოდრიკავ და ვერც ააგდებ. ეს სწორედ ასეთია.
მერსედესი — ძლიერიო? ეს ტიპი ძლიერი გგონია?
ენრიკე — ჰო.
მერსედესი — შენ?
კარლოსი — ვერ დავიჩემებ, სიძლიერის ნიმუშია-მეთქი, მაგრამ სუსტსაც ვერ ვიტყოდი.
მერსედესი — თუ ღმერთი გწამთ... ეს რა მესმის? ყოველივეს შემდეგ, რასაც აქ ვაკვირდებოდით, მაინც თუ ყოყმანობთ, ესე იგი, მეთოდი მოიკოჭლებს. კარგი, თუ ყოყმანობთ, არ შეგეკამათებით.

ჩვენ შეგვიძლია... ახლავე გიჩვენოთ, რა ძლიერიც არის. *(მომცრო კართან მივა, გამოაღებს და გასძახებს)* ლუის! შემოსასვლელს დაუკავშირდი და სთხოვე, სენიორ პორტა დააბრუნონ.

ენრიკე — რა ჩაიფიქრე?

მერსედესი — არხეინად რომ იყოთ, ახლავე განახებთ, როგორი თვითდაჯერებული, როგორი უდრეკი და როგორი ნებისყოფიანია. რომ შემოვა, მთელი სიბინძურე თავზე დავახუროთ, პირში ვუთხრათ ყველაფერი, რაც მასზე ვიცით. თუ არ გატყდა და არ ჩამოიშალა, დაგეთანხმებით და ცოტას კიდევ ვიფიქრებ.

ენრიკე — სიმართლეს ეტყვი? ყველაფერს?

მერსედესი — ვცადოთ. თუ გაუძლებს, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, ენას ჩავიგდებ. უფრო მეტიც: ყველაფერს რომ მოისმენს, თუ ძალას მოუხმობს, დარჩება და თვალსაც გაგვისწორებს, შეცდომას ვაღიარებ, ბოდიშს მოვიხდი და ხმას პირველი მივცემ. აი, ამას გთავაზობთ.

ენრიკე — საკმაოდ გაბედული ნაბიჯია.

მერსედესი — რასაკვირველია. მაგრამ ერთად შევუტიოთ. ერთი ბეწო დათმობაზეც ნუ წავალთ. ყველაფერი რომ დამთავრდება, ალბათ, აქაურობას თვითონვე უჩუმრად დატოვებს. იტირებს-მეთქი, ვერ დაგპირდებით.

ენრიკე — კი, მაგრამ ასეთს რას ეტყვი?

მერსედესი — ყველაფერს. ყველაფერს – თავიდან ბოლომდე!

ენრიკე — ნიევეს... *(კაკუნი. სამივე ერთმანეთს გადახედავს)*

მერსედესი — მობრძანდით.

ფერნანდო — *(შემოდის)* მითხრეს, დაბრუნდიო.

მერსედესი — დიახ. თუ შეიძლება, დაბრძანდით. *(ფერნანდო ჯდება)* ჩვენ აქ მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, ორი კვირა აღარ გაცდევინოთ. ისედაც ყველაფერი ნათელია.

ფერნანდო — გისმენთ.

მერსედესი — ამ საქმისათვის ვერ გამოდგებით. ამაში სამივე დავრწმუნდით. რას იტყვი, მიგელ?

კარლოსი — გეთანხმები. საფიქრალიც არაფერია.

მერსედესი — ესტებან?

ენრიკე — შტატში თქვენი აყვანა მიუტევებელი შეცდომა იქნება.

მერსედესი — ძალიან ვწუხვარ. ვფიქრობ, უკეთესია, ეს ახლავე გითხრათ, ვიდრე ამაო იმედებით გაიხვრიტოთ ტვინი.

კარლოსი — ისედაც საკმაოდ დანაგვიანებულია იქაურობა.

ფერნანდო — კი, მაგრამ...

მერსედესი — ალბათ, გსურთ, განგიმარტოთ. კი, ბატონო... ყველა გამოცდა, რომელიც ჩაგიტარეთ, თქვენი პირადი გამოცდილების გათვალისწინებით იყო შემუშავებული. *(საქღალდეში ჩაიხედა)* ჩვენ ვიცით, რომ დედათქვენის გარდაცვალების შემდეგ მთელი წელი არ გიმუშავიათ. ბიულეტენზე დეპრესიის გამო იყავით.

ფერნანდო — ათი თვე.

მერსედესი — ხომ ასეა?

ფერნანდო — დიახ. მაგრამ...

მერსედესი — ისევ წამლებს ხმარობთ, არა?

ფერნანდო — წამლებს უკვე აღარა ვსვამ.

მერსედესი — თქვენი ავადმყოფობა ფირმას სამოცდახუთი ათასი ევრო დაუჯდა.

ენრიკე — ჩვენ ვიცით, ცოლი რომ გყავდათ. მან გაყრის თაობაზე განცხადება შეიტანა და პროცესი თითქმის დამთავრებულია. ასეა თუ ვცდებით?

ფერნანდო — ასეა, მაგრამ სასამართლო...

კარლოსი — თქვენ სულ ცრუობდით.

ენრიკე — თქვენ ბრძანეთ: რაც აუცილებელი იყო, ყველაფერს ვაკეთებდი, ყველა ეტაპი რომ გადამელახაო. ვაფასებთ თქვენ გულახდილობას, მაგრამ...

ფერნანდო — მომისმინეთ, ჩემი ცოლი...

კარლოსი — გვეყო სიცრუე! ჩვენ შევძელით და თქვენ ყოფილ ცოლს ველაპარაკეთ.

ფერნანდო — რა?

ენრიკე — ვფიქრობ, ხვდებით, რასაც გვიამბობდა.

ფერნანდო — არ ვიცი, რა გითხრათ, მაგრამ...

მერსედესი — და ბოლოს, ჩვენთვის საიდუმლო არ არის, რომ თქვენი ძმა ჰომოსექსუალისტია და ამის გამო მასთან ურთიერთობა არა გაქვთ.

ფერნანდო — იმასაც გაესაუბრეთ?

მერსედესი — თავისთავად ცხადია.

ფერნანდო — ძმასთან არ ვურთიერთობ არა იმის გამო, რომ ჰომოსექსუალია, არამედ იმიტომ, რომ დედა როცა გარდაიცვალა, მან...

მერსედესი — ამას მოვეშვათ. ყოველ შემოთავაზებულ სიტუაციაში თქვენ ერთი ბეწო ემპათიაც კი არ გამოგიმჟღავნებიათ.

ფერნანდო – ემპა... რა?

მერსედესი – თანაგრძნობა. შეგვეძლო, გვეფიქრა, პირად ემოციებს არ გინდოდათ აჰყოლოდით, მაგრამ... როგორ ფახაფუხობდით! ზოგჯერ სიცილს ძლივს ვიკავებდით. ან რა კილო გქონდათ... საცოდავი სანახავი იყავით. მაგრამ სამსახურში ამის კი არა, სულ სხვა რამის გამო არ გიღებთ. ბუმერანგის ეფექტზე თუ გსმენიათ?

ფერნანდო – ცოტა... გულწრფელად გეტყვით: არა!

მერსედესი – აგრესიულობა ხანდახან აგრესორს შემოუბრუნდება ხოლმე. როგორც თქვენ შემთხვევაში მოხდა. და იცით, რატომ? თქვენი აგრესიულობა ნაძალადევი, ხელოვნური, მოჩვენებითია. ეს აგრესიულობის სიმულაციაა. როგორ მოიქცევა თქვენნაირი ადამიანი, სამსახურში კონფლიქტი თუ აგორდა?

ენრიკე – მდგომარეობას დაამძიმებს.

მერსედესი – ასე და ამგვარად, ყველაფერი ნათელია. დროა შინისაკენ გავსწიოთ. როგორც იქნა, შვილებს დაძინებამდე მივუსწრებ. აღარ მინდა ამ ფარისეველ, პირმოთნე ადამიანების გამო დრო ვხარჯო.

ფერნანდო – ერთი წუთით...

მერსედესი – რა გნებავთ?

ფერნანდო – არაფერი... არაფერი.

მერსედესი – როგორ იფიქრეთ, რომ გაგვაცურებდით? ჩამოყალიბებული უხეირო და უიღბლო კაცი ხართ როგორც მუშაობაში, ისე პირად ცხოვრებაში. პირში გეტყვით: ვშიშობ, ეს სენი სამუდამოდ შეგყრიათ. *(ფერნანდო ხან ერთს შესცქერის, ხან – მეორეს, ხან – მესამეს. ხმას ვერ იღებს)* ჩვენ არა გვჭირდება კარგი კაცი, რომელიც თავს ნაბიჭვრად ასაღებს; ჩვენ ვეძებთ ნაბიჭვარს, რომელიც კარგ კაცს ძალიან ჰგავს.

ენრიკე – შევაჯამოთ: ერთი სიტყვით, ჩაიჭერით და, ამავდროულად, როგორც თქვენვე იტყოდით, ჩაისვარეთ; თანაც – არაერთხელ!

მერსედესი – ერთის იმედი შეგიძლიათ გქონდეთ: რაც აქ მოხდა, კედლებს მიღმა არ გააღწევს. *(საათს დახედა)* რა დრო გასულა! მოვრჩეთ! ყველას გმადლობთ! *(ფსიქოლოგები ქაღალდებს კრებენ. ფერნანდო გაუნძრევლად ზის)* ხვალ რომელ საათზე გვეწყება?

ენრიკე – საღამოს, ხუთზე. მგონი, ხვალ გონებრივად დაქვეითებული ვარ, არა?

მერსედესი – არა, ხვალ პროგრამაში ბნედაა, ეპილეპტიკური პროცესი. შენ აზარტული მოთამაშე ანუ იგრომანი ხარ.

ენრიკე — მართალია... ის ხომ... მართალი ხარ.
(მერსედესი ფერნანდოს მიუტრიალდა)

მერსედესი — ყველაფერი დამთავრდა, ვერ გაიგონეთ? თუ რამე გინდათ, გვითხრათ? *(ფერნანდო ჯერ წამიერად გადახედავს სამივეს, მერე თავს უარყოფითად აქნევს)* ენრიკე, აი, ხომ ხედავ?

ენრიკე — აქაც მართალი ყოფილხარ!

მერსედესი — ვინმეს რაიმე ხომ არ გნებავთ?

ენრიკე — არა მგონია.

მერსედესი — სინდისის დასამშვიდებლად ვიკითხე. ყველაფერი ისედაც ნათელია. წავედით.

კარლოსი — *(ფერნანდოსთან მივა)* ყოველივე კარგს გისურვებთ. *(ხელს ჩამოართმევს. ენრიკე საღეჭი რეზინების კოლოფს უწოდებს ფერნანდოს)*

ენრიკე — მენთოლისაა. *(სიცილს ძლივს იკავებს. კარლოსთან ერთად გადის).*

მერსედესი — *(ხელს გაუწოდებს ფერნანდოს)* მშვიდობით! *(ხელს ჩამოართმევს. კარისკენ მიდის, მაგრამ არ გავა, კართან ჩერდება. ფერნანდო ისევ გაუნძრევლად ზის).*

ფერნანდო — *(ტელეფონს ამოიღებს. რეკავს)* გაუმარჯოს. ჰო, მე ვარ. ჰო, დავამთავრეთ. იცი, რა, გადავწყვიტე, ვახშმად მაინც მოვიდე. არა, არა, რას ამბობ?! პირიქით, ადგილი მომცეს. მომცეს კი არა, აქვე უნდოდათ ხელშეკრულება გაეფორმებინათ, მაგრამ უკანასკნელ წამს ვისქესე, რა დამპლებიც იყვნენ და იმაზე დავიკიდე, ჩვენ რო ვიცით, მარცხენა ფეხზე! ვიგინდარებისა და ნაძირლების მოდგმაა. ისეთი გამოცდები მოგვიწყეს, ისეთ ტესტებს გვტენიდნენ, მოგიყვები და არ დამიჯერებ. კატალონიელები ისევ მანდ არიან? ახლავე... მანქანაში ჩავჯდები და მოვგრიალდები. არა, არა, ნუღარ გაუშვებ მაგათ ტრაკში. მოვდივარ! *(ტელეფონს გათიშავს. მერსედესი ისევ უცქერის, ფერნანდო ჩაფიქრდება. მერსედესი მიუახლოვდება).*

მერსედესი — გასასვლელს ხომ მიაგნებთ?

ფერნანდო — მივაგნებ! მივაგნებ!
(მერსედესი სინათლეს ჩააქრობს და გადის. მისაღები ახლა მხოლოდ ფანჯრიდან შემომავალი მკრთალი შუქით არის განათებული. ფერნანდო ისევ ზის, მერე თავზე ხელებს შემოიწყობს, ჩაბნელება).